



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

FEVRIER

1934—№ 98

თებერვალი

1934 წ.

№ 98

# დასავლეთკავკასიელი საქართველოს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—სტალინის აპოთეოზი.

X—საქართველოს საკითხი.

ბ. არიძე—იმპერიალიზმის ტყვეები.

გუშაგი—Mir-Yacoub. Le problème du Caucase.

ს.—ბოლშევიკური გამომცემლობა.

ნაური—წერილი ამერიკიდან.

უცხოეთის მიმოხილვა.

ბოლშევიკურ ფულის ნამდვილი ფასი.

თურქეთის ცხოვრება.

სპარსეთი.

საქართველოს ამბები.

გრ. ალშიბაია—წერ. რედაქციის მიმართ. და სხ.

## ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა პ ო თ ე ო ჯ ი

სტალინის აპოთეოზით დამთავრდა კომპარტიის მე-17 ყრილობა მოსკოვში. სხვა დანიშნულებაც არ ჰქონდა ყრილობას, დელეგატები ერთმანეთს ეცილებოდნენ რაც შეიძლება მეტი ქების შესხმაში დიქტატორისთვის, რა და რა ეპიტეტები არ იხმარეს ამისთვის: გენიოსი, უდიდესი, უძლეველი, უსაყვარლესი, სწორუბოვარი, ბელადი, ფელდმარშალი... მის «უდიდებულესობის» წინაშე, როგორც ოდესმე რომის ცეზარების წინ, საკინძ გახსნილი გაატარეს დამარცხებული მეთაურები მარჯვენა თუ მარცხენა ოპოზიციისა, რომელნიც რჩეული სიტყვებით გალოთქვამდნენ სინანულს და ხოტბას, რაიცა «უქვემდებარდომილესი» დელეგატების სიცილ-ხარხარს იწვევდა.

მაგრამ ვეროპაშიც იცნეს სტალინი, როგორც უდაო ბატონ-პატრონი ხმელეთის მეექვსედისა. მისმა «სეფე-სიტყვამ» არაჩვეულებრივი გამოხმაურება ჰპოვა პრესაში, სახელმწიფო მოღვაწენიც ეძებდნენ მასში საბჭოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს და, როცა ეს მოხსენება კანონად იქცა, რასაკვირველია, იგი უფრო საფუძვლიანათ შესწავლულ იქნება სამინისტროებში. ამ რიგათ, სტალინის მიზანი მიღწეულია შინ და გარეთ, ის აღიარებულია თვითმპყრობელ დიქტატორად, კავშირის ერთა ბედის უზენაეს გადამპყრელად.

რუსის სოციალისტები ბევრსა სწვრდნენ და ეხლაც არ შეუწყვეტიათ წერა კონტრ-რევოლუციურ საწარმოებზე საბჭოთა კავშირში, მათ ელანდებათ

ხან ბონაპარტისტული, ხან ფაშისტური გადატრიალება და ვერ ამჩნევდნენ, რომ დიქტატურა უკვე არსებობს იქ და ეხლა საყოველთაო იურიდიული ცნობა მიიღო მან.

დიდი შეცდომა იყო და არის აწინდელი დიქტატურის ისე წარმოდგენა, როგორც განმეორება წინანდელ დიქტატურებისა, მათ შორის დიდი ზღვარი სძევს და ვინც ამას დროზე ვერ მიხვდება, უთუოთ წააგებს მასთან ბრძოლაში. წინანდელი დიქტატორები ბევრს არ დაგიტყვედნენ ხალხს, ემყარებოდნენ ჯარს და ბოლოს ტახტზე ადიოდნენ, როგორც მისი სარდალი. დღეს სულ სხვაა, ისინი სწორეთ ხალხს და არა «წყალობასა ღვთისათა» ასახელებენ თავიანთ ბატონობის წყაროდ და სახელსაც ამის შესაფერს ირქმევენ: ბელადი სამივე ენაზე: ვოჟდ, დუჟე, ფიურერ.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სამში მასწავლებელი მოსკოვია. იქ მოსპეს პირველათ პოლიტიკური პარტიები და დატოვეს ერთად ერთი პარტია, როგორც იარაღი ხალხზე ბატონობისა. აქაც არავითარი ანალოგია უწინდელ დიქტატურასთან, რომელიც არც ერთ პარტიას არ სტოვებდა თავისთვის და მის მაგიერობას, როგორც ძველ მონარქიებში, ბიუროკრატია ეწეოდა. დუჟემ და ფიურერმა მხოლოდ მოსკოვს მიბაძეს. როცა გაიჩინეს ფაშიო და ნახი და ყველა პოლიტიკური პარტიები მოსპეს.

მაგრამ როცა მოსკოვში, ისე რომსა და ბერლი-



წმი დატოვებული ერთად ერთი პარტიაც მხოლოდ ბუკია, რუპორი ბელადის ნებისყოფისა, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლათ ტარდება სახელმწიფო ორგანოების მიერ. ერთი განსხვავება მხოლო: მაშინ როდესაც იტალიასა და გერმანიაში ბელადი იმავე დროს პრემიერ-მინისტრია. საბუთთა კავშირში ის ატარებს კომპარტიის მთავარ მდივნის სახელს. «თავდაბლობაში» სტალინმა ლენინსაც კი გადააჭარბა, რომელიც პარტიისა და მთავრობის თავმჯდომარე იყო.

იტალიაში და განსაკუთრებით გერმანიაში, უეუველათ, მეტი დაწინაურების წყალობით. დიქტატურის სტაბილიზაცია უფრო ჩქარა ხდება, ვინემ საბუთთა რუსეთში. მე-17 ყრილობის მიერ მიღებული პარტიული წესდება ცდილობს ამ ნაკლის შევსებას. სახელმწიფო ცენტრალიზაცია სავსებით მიღწეულია, ყველანი და ყველაფერი დამოკიდებულია კრემლისგან, მაგრამ დუალიზმი მაინც არ გამქრალა: სოფნარკომი თავისთვისაა, პოლიტიკურად თავისთვის, პირველი ემორჩილება მეორეს, მაგრამ ეს არაა სახელმწიფო სისტემად ქცეული. წესდების თანახმად, მყარდება ორმაგი კონტროლი. სახელმწიფო და პარტიული, რომელსაც ატარებს რრი კომისია, არჩეული პარტიულ ყრილობის მიერ, მაგრამ დაქვემდებარებული, თვითეული, მთავარ მდივნის თანაშემწე-თავმჯდომარეზე. ამ რიგით, ამიერიდან სტალინის განუკითხავი ბრძანებლობა უზრუნველყოფილია, როგორც სახელმწიფო, ისე პარტიულ სფეროში, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში.

მაგრამ რაა პოლიტიკური სტაბილიზაცია, თუ მას არ უმაგრებს ზურგს ეკონომიური სტაბილიზაცია? ან, აქ იჩენს თავს დიდი და პრინციპიალური განსხვავება ევროპიულ და ევრაზიულ დიქტატურას შორის. მაშინ როდესაც ბოლშევიკი სპობს ბურჟუაზიას, როგორც კლასს, ფაშინში და ნაზინში მის ხსნას ისახავს მიზნად. შედეგი გამანადგურებელია პირველისთვის და განმტკიცებული მეორესათვის. მართლაც, როგორ გინდათ საბუთთა კავშირის გლენობამ, მოსახლეობის 80 პროცენტმა, მხარი დაუჭიროს «სოციალიზმს»? იტალიასა და გერმანიაში გლენობა და ქალაქის მთელი წვრილი ბურჟუაზია სწორეთ ახალ რეჟიმში ჰპოვებს კერძო საკუთრების მფარველს. აქედან ამ სამ ქვეყანაში ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ლოზუნგია. დროშაზედ დაწერილი: კლასთა ბრძოლა, ერთის მხრით, კლასთა მორიგება, მეორეს მხრით, ან კიდევ: პროლეტარიატის ბატონობა იქ, კლასთა თანამშრომლობა აქ. საკვირველი მოვლენა: სოციალიზმის განხორციელება ჩა-

მორჩენილ ქვეყანაში, კაპიტალიზმის განხორციელება დაწინაურებულ ქვეყნებში! ესაა ის ძირითადი წინამძღვრობა, რომელიც საძირკველს უღრუნის ბოლშევიკურ დიქტატურას.

განა არა გრძობს ამას სწორუპოვარი ბელადი სტალინი? გრძობს და კიდევ როგორ! გადაიკითხეთ მისი კილომეტრიანი სიტყვა «პრავდა»-ში და დარწმუნდებით, რომ ისიც ეკონომიურ სტაბილიზაციის ძებნაშია. ის პირდაპირ «დურაკებს» ეძახის იმათ, ვინც ფიქრობს «კომუნის» განხორციელებას სოფლად; არა, ამისთვის ჯერ დრო არ დამდგარა, უნდა ვეცადოთ «არტელის» განხორციელებას—ამბობს ის. რაა არტელი? გლენი ეწევა ორნაირ მეურნეობას: ერთს კოლხობში, კოლექტიურს, ხობლის, ბამბის, ადგილობრივ ვაბატონებულ მცენარის მოსაყვანათ; მეორეს თავის ეზოში, ინდივიდუალურს, ბოსტნის, საწველ და სხვა წვრილ ცხოველთა, აგრეთვე ფრინველის მოსაშენებლათ. პირველ შემთხვევაში გლენი არის არტელის წევრი, მეორე შემთხვევაში დამოუკიდებელი კერძო მესაკუთრე.

სტალინი აშკარათ მხარს უჭერს კოლხობების შექმნებულ გლენებს და ილაშქრებს ლატაკთა წინამძღვ. თუ სოციალიზმი მოასწავებს ლატაკთა საზოგადოებას—ამბობს ის—, მაშინ არც კი ღირდა ოქტომბრის გადატრიალებაო. მას სასაცილოთ არ ჰყოფნის და სისულელეს ეძახის თანასწორობას გემოვნებასა და მოთხოვნილებაში, სოციალიზმი ნიმნავს მხოლოდ კლასების მოსპობასო.

იტყვიან და შეიძლება სამართლიანათ, რომ ეს სტალინის ჩვეულებრივი ზიგ ზაგია, იმეორებს თავის ძველ «ექვს მცნებასო».—მაგრამ ეს სულაც არ უშლის დავასკვნათ, რომ ის მოწადინებულია თავისი პოლიტიკური ბატონობა შექმნებულ გლენების და «არისტოკრატ» მუშების მიმხრობით განხანგრძლივოს. სტალინისთვის სოციალიზმი, კომუნისში და თვით არტელიც მხოლოდ საშუალებაა და დიქტატურა—მიზანი.

მაშასადამე, ტენდენცია აშკარაა, ბელადს ეხარბება დუჩეს და ფიურერის შედარებით უფრო ფესვიანი დიქტატურა, ბაძავს მათ, თუ გნებავთ, მაგრამ კლასების მოსპობა, რომელიც საფუძვლად უდევს საბუთთა მთელს ეკონომიას, სრულიად მიუღწევლათ ხდის როგორც პოლიტიკურ, ისე მით უფრო ეკონომიურ დიქტატურის სტაბილიზაციას. ერთად ერთი იარაღი ისევ ძალმომრეობა და ტერორი რჩება სწორუპოვარ ბელადის ხელში. ხმელეთის შეექვსედის დაპყრობილ ტერიტორიად და მის მოსახლეობის ხალას ყმებად ქცევა—აი რაა ბოლოს და ბო-





ლოს საბჭოთა რეჟიმი. მისი უკანასკნელი სიტყვა გეპუე არის, საშინელი, გაუგონარი, დაუნდობელი. ამიტომ როგორც გლენობა, ისე მუშები, მათი დიდი უმრავლესობა ჯაჟვის აწყვეტის გუნებაზეა და უცდის შესაფერ მომენტს.

ვოროშილოვის აღლუმი წითელ მოედანზე და ბლიუხერის ქადილი ყრილობაზედ სრულიად არ ამშვიდებს სტალინს, მისი ზომიერი სიტყვები საგარეო პოლიტიკაზე ამის მომასწავებელია. ომი აუცილებელს გახდის მობილიზაციას, ხოლო უკანასკნელმა შეიძლება უბედურება მოუტანოს მას. სასოწარკვეთილი და გამწარებული გლენობა, მოწვეული «სოციალისტურ სამშობლოს» დასაცავათ, ვინ იცის ვის დაუმინებს თოფს: გარეშე თუ შინაურ მტერს! ქვეყნის და ხალხის მტერი სტალინი, აი ვინ შეიძლება ამოიღოს ნიშანში იარაღში ჩასხმულმა გლენობამ. ამიტომ ცდილობს მტარვალის საქმე ომამდე არ მიიყვანოს, შეიძლება დაიხიოს კიდევ რაბონის წინაშე, რომლის სამხადისი, იმავე ბლიუხერის მოწმობით, უაღრეს წერტილს აღწევს.

კავშირის ჩაგრული ერები, რომელთა «ნაციონალიზმს» ამდენი ადგილი დაუთმეს მე-17 ყრილობაზედ, რასაკვირველია, მზათ არიან სათანადო დასკვნა გააკეთონ გადაჭრულ მომენტში. ომში დამარცხება თუ უომრათ წაჩოქება, იმედია, ერთსა და იმავე გამანადგურებელ გავლენას იქონიებს სტალინის დიქტატურაზე: ეს იქნება არა მისი აპოთეოზი, არამედ სამარე.

### საქართველოს საკითხი

ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო კავშირში.

12 თებერვალს ქ. ბრიუსელში მოხდა კრება ხსენებული კავშირის «იურიდიული და პოლიტიკური კომისიისა».

კრებას დაესწრნენ დელეგატები ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებისა, აგრედვე წარმომადგენელი იაპონიის და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებისა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ლი-მბურგი, პოლანდიის ყოფილი მინისტრი.

ამ კრებაზე ქართულ საზოგადოების დელეგატმა, ბ-ნ გიორგი გვანავამ, შემოიტანა შემდეგი განცხადება:

«დადგენილება ერთა ლიგის დამხმარე ქართული საზოგადოებისა.

ერთა ლიგის დამხმარე ქართული საზოგადოება, საგანგებოთ მოწვეული 3 თებერვალს 1934 წელს პარიზში, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობა საბჭოთა რუსეთმა მოითხოვა ერთა ლიგაში შესვლა, დებულობს რა მხედველობაში, რომ:

1, საქართველო, რომელიც თითქმის ოცი საუ-

კუნე იყო დამოუკიდებელი, გაუქმებულ იქნა, რთგორც თავისუფალი სახელმწიფო 1801 წელს, რუსეთის ძალმომრეობით, მიუხედავად 1783 წელს დადებული ხელშეკრულობისა;

2, 26 მაისს 1918 წ. საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა და ეს აქტი ერთხმად დამტკიცებულ იქნა დამფუძნებელ კრების მიერ, რომელიც არჩეული იყო საყოველთაო ხმის მიცემით;

3, 7 მაისს 1920 წ. დადებული ხელშეკრულების ძალით, «რუსეთი ყოველი დავის გარეშე სცნობს დამოუკიდებლობას და სუვერენობას საქართველოს სახელმწიფოსას და ხელს იღებს სრული თავისი ნებყოფლობით ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნის რუსეთს საქართველოს ერისა და ტერიტორიის მიმართ;

4, 27 იანვარს 1921 წ. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილ იქნა დე-იურე უმაღლეს საბჭოში შემავალ ყველა სახელმწიფოების მიერ და აგრეთვე ბევრი სხვა ქვეყნების მიერ;

5, არ ვასულა ერთი თვეც ამის შემდეგ, რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და დაიჭირა მთელი მისი ტერიტორია, მიუხედავად საერთაშორისოდ დადებული ვალდებულებისა;

6, 25 სექტემბერს 1922 წ. და 25 სექტემბერს 1924 წ. ერთა ლიგის საზოგადო ყრილობამ მიიღო ორი ერთის და იმავე შინაარსის დადგენილება, რომლითაც იგი «ავალებს თავის საბჭოს ყურადღებით თვალყური ადევნოს გარემოებათა მსვლელობას ქვეყნირების ამ ნაწილში და არ გამოუშვას ხელსაყრელი შემთხვევა, რათა, მშვიდობიანი გზით და თანხმად საერთაშორისო უფლების პრინციპებისა, აღდგენილ იქნეს საქართველოში ნორმალური მდგომარეობა»;

— უმორჩილესად თხოვს ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო კავშირს მიაქციოს ერთა ლიგის ყურადღება საქართველოს მდგომარეობას და იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მოისურვებს ერთა ლიგაში შესვლას, თვით მიიღოს ზომანი, რათა აღდგენილ იქნას საქართველოს სუვერენობა, საერთაშორისოდ ცნობილი, მაგრამ გაუქმებული რუსეთის თავდასხმით; ამ რიგად ხელი შეუწყოს იმ პრინციპების გამარჯვებას; რომელზედაც აგებულია თვით ერთა ლიგა».

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საქართველოს დელეგატს.

გიორგი გვანავა. მე დასამატებელი ბევრი არა მაქვს რა. ისტორიას არ ახსოვს ისეთი შელახვა ყოველი დამოუკიდებელი ერის ძირითადი უფლებისა, როგორც ჩაიდინა რუსეთმა საქართველოს მიმართ. მიუხედავად საერთაშორისოდ მიღებული ვალდებულებისა, რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, განდევნა იქიდან კანონიერი მთავრობა, დაიჭირა მთელი ტერიტორია და ჩააყენა მთელი ერი ისეთ პირობებში, რომ იმას შეძლებაც არა აქვს თავისუფლად ხმა ამოიღოს. საქართველოს ისტორიამ მთელი კაცობრიობის წინაშე დააყენა ერთი ტრალიკული საკითხი: შესაძლებელია თუ არა არსებობა პატარა სახელმწიფოსი დიდ სახელმწიფოს გვერდით? თუ იგი





უნდა გახდეს მსხვერპლი დიდი სახელმწიფოსი მხოლოდ იმიტომ, რომ არა აქვს საკმარისი ტყვია და ხარბი ხანი, რომ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა? აქვს თუ არა რაიმე ძალა საერთაშორისოდ დადებულ ხელშეკრულებას ან საერთაშორისო ცნობას? ბატონებო, ყველა ეს კითხვა შეეხება იმ ძირითად პრინციპებს, რომელზედაც აგებულია თვით ერთა ლიგა, რომლის დამხმარე საზოგადოებას ჩვენ წარმოვადგენთ. მე დარწმუნებული ვარ, აქ არავინ იქნება წინამდევნი შემოტანილი თხოვნისა, რომ საქართველოს საკითხი დასმულ იქნას დღის წესრიგში ჩვენი კავშირის საერთაშორისო კონგრესზე...

თავმჯდომარე. მგონი შარშანწინ ჩვენ კიდევ მივიღეთ ამისთანა რეზოლუცია?

გიორგი ვვანავა. შარშანწინ ჩვენ მივიღეთ რეზოლუცია საზოგადოდ საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ესლანდელი ჩემი თხოვნა კი გამოწვეულია იმ ხმებით, რომ ვითომდა რუსეთი აპირებს ერთა ლიგაში შესვლას. ერთა ლიგაში შესვლა კი ნიშნავს რუსეთის საზღვრების საერთაშორისოდ ცნობას, მასასადამე პირდაპირ ეხება საქართველოს ბედს. ჩვენ არ შეგვიძლია ხმა არ ამოვიღოთ.

ბრედ. ე. სელი (საფრანგეთი). მე მგონია, აქ სადავო არაფერია.

ბ. იაკვლევი (უკრაინა). მე საგვებით მხარს ვუჭერ შემოტანილ წინადადებას.

ბ. სტრონსკი (პოლონეთი). მე ვუბრუნებ ჩემს მეგობრებს ქართველებს, თუ ვინცობაა რუსეთი მონდომებს ერთა ლიგაში შესვლას, ნუ გაუწევენ მას წინამდევობას და ნუ წამოაყენებენ ისეთ კითხვას, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს მისი ლიგაში შესვლა. ეს უფრო სასარგებლო იქნება თვით ქართველებისათვის.

გიორგი ვვანავა. ჩვენ არასოდეს აზრად არ მოგვსვლია წინამდევობა გავუწიოთ რუსეთის შესვლას ერთა ლიგაში; ჩვენ ვართ ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოება და ვიცით, რაც უფრო ფართოა, უფრო უნივერსალურ ხასიათს მიიღებს ერთა ლიგა, მით უფრო ადვილი იქნება ვანხორციელება ერთა ლიგის იდელებისა. რუსეთის შესვლა ერთა ლიგაში ჩვენთვისაც დიდად სასარგებლოა, მაგრამ თავის თავად ცხადია, მასთან ერთად დაკავშირებულია საქართველოს საკითხიც. ვერც იურიდიულად, ვერც პოლიტიკურად თქვენ ვერ მოხსნით ერთ საკითხს მეორისაგან. როცა ერთი დგება, თავისთავად იჭრება მეორეც. ჩემი თხოვნაც სწორედ ეგ არის: მიაქციოთ ერთა ლიგის ყურადღება ამ გარემოებას, სხვა არაფერი. თხოვნა, როგორც მოგახსენეთ, ემყარება თვით ერთა ლიგის დადგენილებას.

თავმჯდომარე. ვის უნდა კიდევ სიტყვა? სიტყვა არავის უნდა.—კენჭს ვუყრი: ვინ არის წინამდევნი შემოტანილ წინადადებისა?—წინამდევნი არავინ არის.

მასასადამე, საქართველოს საკითხი შეტანილი იქნება დღის წესრიგში ჩვენი კავშირის მომავალ საერთაშორისო კონგრესზე.

**იმპერიალიზმის ტყვეები**

«დამოუკიდებელ საქართველოს» წინა ნომერში ჩვენ შევეხეთ მილიუტოვის მიერ დაწყებულ კამპანიას შესახებ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისა და ხაზი გაუსვით რუს იმპერიალისტების შიშს. ჩვენ დავინახეთ, რომ რუს ემიგრაციის იმ ნაწილს, რომლის მეთაური მილიუტოვიცაა, ამინებს არა ომი თავისთავად, არამედ ის, რომ ომს მოყვება საბჭოთა კავშირში მომწყვდელ არარტუს ერების რუსეთის ულლიდან განთავისუფლება.

იმპერიალიზმის ტყვეთ ქცეული რუს ემიგრანტული წრეები დარწმუნებული არიან, რომ «რუსეთის ტერიტორიას» ვერ დაიცავს საბჭოთა ხელისუფლება; თქმა არ უნდა, რომ ამაში არ ცდებიან. ქვეყანას ვერ დაიცავს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც შინაური და გარეული—ყველა მოსისხლე მტრად ყავს გადაკიდებული. პირველად ყოვლისა ამ ხელისუფლებას გვერდში არ ამოუდგებიან ის არა რუსი ერები, რომელნიც უმაგალითო ეროვნულ მონობის ქვეშ იმყოფებიან; მას არ ამოუდგება გვერდში არც თვით რუსის ხალხი, რომლისთვის არ არსებობს ადამიანური არსებობისა და უფლებების არავითარი მინიმუმი. თავის დატყვევებაა, ვინმემ იმის იმედი იქონიოს, რომ შემოსეულ გარეშე მტრის წინამდევნეროვნული ენტუზიაზმი გაიღვიძებს იმ ხალხში, რომელიც ცხოვრობს ცოლ-ქმარ ჩერხანების მიერ აღწერილ საზღაპრო ჯოჯოხეთის ქვეყანაში. თანამედროვე პირობებში ქვეყნისა და თავის დაცვა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეთა კრებულს და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო პირუტყვით ქცეულ ხალხს.

ცხადია, ყველას მიერ შეძლებულ საბჭოთა ხელისუფლების ამარა დატოვებულ «რუსეთის ტერიტორია» დიდ საფრთხის წინაშე დგას. რამ უნდა უშველოს ამ მდგომარეობას, სად არის ის ძალა, რომელიც ამ საფრთხეს აღუდგება წინ და იხსნის «რუსეთის ტერიტორიას» მადანე მოსულ მეზობლების დატაცებისაგან? ამ კითხვანე პასუხის გაცემას ლამობს ბ-ნი საბლიც თავის უკანასკნელ გამოსვლაში «პოსლ. ნოვოსტის» ფურცლებზე. ავტორის აზრით მთავარ ამოცანას შეადგენს შინ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება და გარედან მომდგარ მტრისგან თავის დაცვა. საზღვრებს გადმომლა არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს სამშობლოს განთავისუფლება ბოლშევიკურ ძალადობისაგან. ასეთი ძალაა იქ, რუსეთში. მასასადამე მოსავარებელი პირველი კითხვაა რუსეთისაკენ გზის გაკაფვა და იქ დაკავშირება უკმაყოფილო ელემენტებთან. მეორე კითხვათ საბლინი აყენებს საბჭოთა კავშირში შემავალ არარტუს ერებთან საერთო ენის გამონახვას და მათ მიმხრობას; მესამეა უცხოეთში დიპლომატური მუშაობის გაწევა და უცხოელების დარწმუნება იმაში, რომ რუსეთის ბალკანიზაცია არავისთვის იქნება სასარგებლო.

ამ კითხვებიდან ჩვენთვის მთავარ ინტერესს წარმოადგენს მეორე. როგორ, რა გზითა და ზომებით





აპირებს ბნი საბლინი ამ კითხვის მოგვარებას? მას სასურველად მიაჩნია «მრგვალი მაგიდის» ირგვლივ შემოკრეფა «კეთილგონიერად გაგებულ რუსულ იმპერიულ პრინციპის წარმომადგენლებისა» ერთის მხრივ და «დამოუკიდებელურ მიმდინარეობათა კეთილგონიერ წარმომადგენლებისა» მეორეს. სრულიად ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ «კეთილგონიერთა» კრებულს ბნი საბლინი მიმართავდა წინადადებით, ეთათბირათ საერთო სატიკვიარზე როგორც სოულუფლებიან ერთა წარმომადგენლებს, საერთო ძალითა და საერთო ღონით გამონებათ ის საშვალეებანი, რომელიც შესძლებენ განაწამებ ხალხების სულის მობრუნებას, წყლულის ოდნავ მაინც დაამეხებს და საშინელ მონობიდან თავის დაღწევას. მაგრამ რაც სადათ მოაზროვნე ადამიანისათვის ბუნებრივი და თავისთავად გასაგებია, ის მიუღებელი და უჩვეულო რამ ყოფილა იმპერიალისტურ სულისკვეთებით შეპყრობილ დიპლომატისთვის. მას წინასწარ გაუმართავს თათბირი თავის თავთან და დადგენილებაც გამოუტანია. აი ეს დადგენილებაც: რუს იმპერიალისტებმა უნდა დაარწმუნონ «მრგვალი მაგიდაზე» მოპატიებელი «სამოლტინიკების კეთილგონიერთა» მოაზროვნე ბელადები, რომ «ახალი რუსეთი, რომელზედაც ჩვენ ვოცნებობთ, სრულიადაც არ გვენახტება, როგორც ახალი დამკვიდრება სანკტპეტერბურგის ან მოსკოვის ცენტრალიზმისა, არამედ როგორც კავშირი რუსეთის სახელმწიფოს ხალხებისა, კავშირი, რომელშიაც თვითეულ მათგანს უზრუნველყოფილი ექნებოდა უფლება შინაური თვითმართველობისა სრულის თავისუფლებით ადგილობრივ კულტურისა, სარწმუნოებისა და სხ.»

ბნი საბლინის გულუბრყვილობამ—თუ კი ეს გულუბრყვილობაა—ბნი მილიუკოვიც კი გააკვირა. «უნდა შევნიშნოთო, —უპასუხებს უკანასკნელი პირველს, რომ ის, რასაც თქვენ სთავაზობთ «კეთილგონიერ ბელადებს», უფრო გავს «ჩეტვერტაკს» (ავტონომიას), ვინემ «პოლტინიკს» (ფედერაციას) და მეტად საეჭვოა, რომ იგი მიღებული იქნეს «კეთილგონიერთა» შორის უმეტესად «კეთილგონიერების» მიერაც. თუ არ ვცდები, თქვენ ლაპარაკობთ არა ფედერაციანზე, არამედ მხოლოდ ერთგულ ავტონომიანზე,—ე. ი. ისეთ ფორმაზე, რომელიც ამ ეამად შეიძლება შესთავაზო მხოლოდ ჩამორჩენილ ხალხებს, ან უტერიტორიო ხალხებს». ცხადია, რომ ბნი მილიუკოვი ამ საქმეში უფრო გამოცდილია, ვივემ ბნი საბლინი. მან კარგად იცის, რომ დაჩაგრული ერები რუსის ერთან მოლაპარაკებაზე დასთანხმდებიან მხოლოდ როგორც «თანასწორნი თანასწორებთან». ეს კი, მილიუკოვის განცხადებით, მისი «თაობისათვის ფსიქოლოგიურათ მიუღებელია».

ქვეშაბრტალ უბედურია ის ერთი, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები ხალხისა და ქვეყნის ბედობალს ფსიქოლოგიურ განწყობილებებზე აფუძნებენ და არა დროსა და გარემოების რეალურ მოთხოვნილებებზე. ალბად ამ ფსიქოლოგიით აიხსნება ისიც, რომ დღემდე «რუსეთის ტერიტორიათ» თვლიან საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ხალხების ტერიტორიებს. ასეთი მეთაურებისა და ხელმძღვანელო-

ბის ამარა მყოფი ხალხი ვერც შინაურ დიქტატურისაგან განთავისუფლებს თავს და ვერც გარეშე მტერს გასცემს ღირსეულ პასუხს, თუ—რა თქმა უნდა—სასწაული არ მოხდა. მაგრამ სასწაულის მოლოდინი ვერაფერი იმედია, სასწაულს შეუძლია უცადოს მხოლოდ სასოწარკვეთილმა, საგლახეში და სიძაბუნეში ჩავარდნილმა ხალხმა.

სასწაულის იმედით ვერ დაკმაყოფილებიან საბჭოთა კავშირში შემავალი დაჩაგრული ერები. მათი მტკიცე ეროვნული ნებისყოფა და გმირული განმათავისუფლებელი ბრძოლა სრული თავდებია იმის, რომ ისინი მოახერხებენ თავის განთავისუფლებას და თავისი ტერიტორიების დაცვასაც, თუ შესძლებენ თავის დროზე განამტკიცონ ურთიერთს შორის კავშირი და მეზობლური თანამშრომლობა. აი ამ «თუ» საკენ უნდა იქნეს მიქცეული მთელი ყურადღება და დაუღალავი მეცადინეობა დაჩაგრულ ერთა ყველა ქვეშაბრტ პატრიოტების.

ბ. აბიძე.

### MIR-YACOUB LE PROBLÈME DU CAUCASE

დიდი ხანი არაა, ამ სათაურით—კავკასიის პრობლემა—პარიზში გამოვიდა ბ. მირ-იაკუბის წიგნი, რომლის უკანასკნელი თავი—დასკვნა—ასე იწყება: «ჯერ არ დამდგარა, საუბედურათ, ყამი მშვიდობიანობისა და წარმატებისა, როცა შესაძლებელი გახდება კავკასიის ერთა პოლიტიკური ისტორიის ერთგვარ მიუღწეველად დაწერა» (გვ. 167). ავტორს მაინც უკისრია ეს მიმე ამოცანა კიდევ დღეს, და მეც სიამოვნებით მიულოცავდი მას ეგზომ გაბედულებისათვის, მიღწევაც რომ აგეთივე დიდი გამომდგარიყო.

წიგნი დაწერილია ფრანგულ ენაზე, რაიცა თავის თავათ მოასწავებს კავკასიის პრობლემის საერთაშორისო ასპარეზზე გამოტანას, მის განხილვას, გაშუქებას იმ კეთილი განზრახვით, რომ უცხოელნი მიიმხროს კავკასიის ერებისკენ, მათ რაც შეიძლება მეტი და ახალი მეგობარი მოუპოვოს. განზრახვა ჩინებულაა, თქმა არ უნდა, ავტორი იცავს კავკასიის ერთა ფეხქვეშ გათვლილ უფლებას დამოუკიდებელ არსებობისათვის, მათ კონფედერაციას, მხოლოდ ისმის კითხვა, რამდენათ აღწევს ის მიზანს? პასუხი არც ისე ადვილია, არის მკითხველი და მკითხველი, ხლო დინტერესებულმა და დაკვირვებულმა უცხოელმა, საშიშოა, წინამდევნი დასკვნები არ გამოიტანოს წიგნიდან, ვინემ მის ავტორს სურდა.

ამ ბრძოლის ხანაში, როცა კავკასიის ერებს საშინელ მტერთან აქვთ საქმე, კავკასიელ ავტორმა უცხოეთში ერთი მინიმალური მოთხოვნილება მაინც უნდა დააკმაყოფილოს: არ მისცეს მტერს, განთქმულს თავისი სიფლიდით და სიგვრავით, მასალა მის მიერ დაცულ ერების წინამდევ. იმ ერების, რომელნიც ჯოჯოხეთურ პირობებში ებრძვიან საოკუპაციო ხელისუფლებას. რამდენათ ასრულებს ამ აუცილებელ პირობას ბ. მირ-იაკუბ? სამწუხაროთ, მიუხედავათ ჩემი დიდი ცდისა, მე ვერ მივაღწიე ავტორისათვის სასარგებლო პასუხს ამ კითხვაზე.



მაგრამ არის ერთი შემამსუბუქებელი გარემოებაც, რომელსაც სიამოვნებით მივაშველ ავტორს. კავკასიის ერთა ამ ახლო წარსულის ისტორია ჯერ არ არის სრულიად შესწავლული, არ მომხდარა ფაქტების დალაგება, გაცხრილვა, ნამდვილ ამბების გამოყოფა ზღაპრებისგან. გარდა ამისა, რამდენია წერილობითი საბუთები, რომელთა გამოქვეყნებისათვის არამც თუ «ყამი მშვიდობიანობისა და წარმატებისა» არ დამდგარა, ეს დიდ და გაუსწორებელ ზიანსაც მიაყენებდა კავკასიის და მის ერებს. ამ პირობებში, ცხადია, ერთობ შეზღუდული იყო ავტორის შესაძლებლობა ნამდვილი და პირუთენილი «ისტორია» დაეწერა, მას არ შეეძლო ბევრ რამეს შესებოდა, უბრალოთ აღენუსხა.

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცდნათ, ავიღოთ კავკასიის ამბები 1917-დან 1921 წლამდე, ესენი ხომ ყველას თვალწინ მოხდა, რაა აქ დასამალი ან ხელის დასაფარებელი? თითქო არაფერი, ხომ ისედაც იცინა! მაგრამ ბ. მირ-იაკუბ ყოველთვის არ მიყვება ამ მოლიპულ ბილიკს და მე სავსებით ვინაწილებ მის წინდახედულებას. ამ ბრძოლის ხანაში, ვიმეორებ, არ იქნებოდა საქმისთვის სასარგებლო ხოვ რამეზე ელაპარაკნა და ისიც არ ლაპარაკობს. თავის წიგნში, მაგ., ავტორი მოგვითხრობს, როგორ მოითხოვეს ანერბეიჯანის ბოლშევიკებმა, აპრილს 1920 წ., ძალა-უფლების მათ ხელში გადასვლა, როგორ მიაღწიეს ამას და მეორე დღეს რუსის ჯარი ზეიმით ბაქოში შემოიყვანეს (გვ. 158-159). მაგრამ ის არ ამბობს, რომ ანერბეიჯანის ბოლშევიკებს ძალა-უფლება ანერბეიჯანის პარლამენტმა თავის ნებით, ე. ი. განსაკუთრებული დადგენილებით გადასცა. განა საქორო არ იყო «ისტორიისთვის» ამ დადგენილების მოყვანა? რასაკვირველია, კი იყო საქორო, მაგრამ საქმისთვის უთუოთ საზიანო გამოდგებოდა. წიგნში არაფერია იმის შესახებაც ნათქვამი, რომ ანერბეიჯანის ჯარი ამ საბედისწერო მომენტში შორს იყო დედა-ქალაქიდან, სომხეთის საზღვარზედ, მაშასადამე, ფიზიკურათ არ შეეძლო შებრძოლებოდა შინაურ და გარეშე მტერს. მე არ მინდა შევიჩრდე ამ მართლაც ტრადიკულ წუთებზე, არც სხვა მაგალითი მოვიტანო, მინდა, პირიქით, კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ანერბეიჯანის დელეგაციამ, რომლის წევრი თვით ბ. მირ-იაკუბ იყო, დიდი კამპანია გასწია მაშინ პარიზში, მიუხედავათ ბაქოს პარლამენტის და მთავრობის მოულოდნელ წაჩქებისა, ანერბეიჯანის, ჩრდილო ბარბაროსების მიერ, ძალათ დაჭერის წინააღმდეგ.

მაგრამ ერთი წყება ამბების არაღნიშვნა, რომელიც, სულ ცოტა, ეტოშებოდა უცხოელ მკითხველს, კიდევ არ იშნავს, რა თქმა უნდა, მეორე წყება ამბების მიფუხეჩებას, ამბების, რომელიც, პირიქით, მოინადირებდა იმავე უცხოელ მკითხველს კავკასიის ერთა სასარგებლოთ. ბ. მირ-იაკუბს სწორეთ ეს მოსვლია! ცნობილია, ანერბეიჯანის შემდეგ წითელმა ჯარმა სომხეთი და საქართველო დაიჭირა. ავტორიც გვეუბნება ამას შემდეგი სიტყვებით: «ჩაიგდო რა წითელმა მოსკოვმა ხელში ბაქო, ამიერ-კავკასიის ბედი გადაჭრილი იყო. წითელმა ჯარმა განაგრძო

თავისი გზა ბათუმისკენ და ცოტა ხანში დაიკავა სომხეთი და საქართველო» (გვ. 159). ამაოთ ეძებთ მთელს წიგნში სხვა რამეს, გარდა ამ ორი ფრანისა, ამ ორი ქვეყნის დაკავების შესახებ, ასე გეგონებათ, მეორე დღეს მოხდა ეს ბაქოს შემდეგ, აპრილიდან 1920 წ. მარტის დამლევამდე 1921 წ. თითქო არაფერი მომხდარა! რა საქორო იყო მაშინ სათაური «კავკასიის პრობლემა», ან იქნება სომხეთი და საქართველო კავკასიის გარეთ მდებარეობს? მე არ მინდა მკაცრათ დავგმო ეს მართლაც გაუგონარი მიფუხეჩება, მეზობელთა შორის სავალდებულოა მეგობრული კილო, ეს ქართველის ტრადიციია.

მაგრამ მე მინც მინდა მოვიტანო ქართველთათვის უკვე ცნობილი, ხოლო უცხოელთათვის ფრიად საინტერესო ზოგიერთი ფაქტები. ანერბეიჯანის აღების მეორე დღეს მართლა მოხდა ერთი საყურადღებო ამბავი: წითელი ჯარების დატაკება ქართველ ჯარებთან, ომი რუსეთსა და საქართველოს შორის. რით დამთავრდა ეს? საქართველოს გამარჯვებით, აღსტაფის ზავით, რის შედეგი იყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება 7 მაისს 1920 წ. და საბუოთა მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა. რას იტყვიან, განა ეს ამბავი იმდენათ უმნიშვნელო იყო, რომ ღირსი არ იყო აღნიშვნის ბ. მირ-იაკუბის «კავკასიის ერთა პოლიტიკური ისტორიაში»? ვთქვათ, ავტორს არ შეეძლო აეწერა ეს მართლაც ისტორიული ამბავი, მაგრამ უბრალო კონსტატაცია ხომ მინც სავალდებულო იყო?

ავტორი აკეთებს კონსტატაციას მეორე ამბისა, პირდაპირ გამომდინარეს პირველ ამბიდან: განჯის აჯანყება და მის სისხლში ჩახრჩობა. ვინ არ იცის, რომ აჯანყება განჯაში შედეგი იყო წითელ ჯარების დამარცხებისა ქართველ ჯარების მიერ? რასაკვირველია, მიუტყვებელ ნაკლად ჩაეთვლებოდა ავტორს, ანერბეიჯანელთა ეს სტიქიური გამოსვლა რომ არ ეხსენებია, მაგრამ როგორ შეიძლებოდა მის გამომწვევ მიზეზის გვერდის ავლა?

მე უკვე ვთქვი, წიგნში ერთ ლიტონ სიტყვასაც ვერ იპოვით იმაზე, როგორ მოხდა სომხეთის და საქართველოს დაჭერა რუსეთის მიერ. მთელი ერთი წელიწადი საქართველოს დამოუკიდებელ არსებობისათ თითქო წაშლილია ავტორის მიერ. უცხოელ მკითხველს უთუოთ დაებადება ახრი, რომ საქართველოც უბრძოლველათ დანებდა მტერს! მტრის სამხადისი სწორეთ ბაქოში სწარმოებდა საქართველოზე შესასევათ, გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება და ბევრი სხვა, რა თქმა უნდა, არ არსებობს ავტორისათვის. მაგრამ თვით ომი, რუსეთ-საქართველოს ომი თებერვალ-მარტს 1921 წ., არსებობს თუ არა მისთვის? არა და არა! როგორ, პატარა საქართველო სუთი ვვირა ეწინააღმდეგებოდა დიდ რუსეთს, ნუ თუ ეს არ უნდა აღვნიშნა? რამდენი იწერება იმაზე, რომ პატარა ბელგია ერთი ვვირა ეწინააღმდეგა დიდ გერმანიას, ნუ თუ საგულისხმეირო არ იქნებოდა უცხოელისთვის საქართველოს ხუთჯერ მეტი გამძლეობა? მაშ რატომ უწოდა ერთომ საქართველოს «აღმოსავლეთის ბელგია»?

რუსეთ-საქართველოს მეორე ომს შედეგად მო-





ჰყვა სომეხეთის აჯანყება, აჯანყებულებმა გადაადგდნ საბჭოთა «მთავრობა» ერევანში და მის მაგიერ ერთ-ერთი მთავრობა დასვეს ბ. ვრაცაინის თავმჯდომარეობით. უკანასკნელი შეეცადა ომში ჩაბმულ საქართველოსთან გადაბმას, საერთო ძალით მტრის მოგერებას, რაიცა ვერ მოხერხდა, საუბედუროთ, და შემდეგ მტერმა ისევ დაიბრუნა ერევანი, მაგრამ აჯანყებულებმა კიდევ ორი თვე ებრძოლეს მტერს ზანგეზურში... ახსენა თუ არა სომხის ერის ეს თავდადებული გამოსვლა ავტორმა? არა! განა უბრალო ანალოგია განჯის და ერევნის აჯანყებათა, როგორც შედეგი საქართველოს ომებისა რუსეთთან 1920 და 1921 წ.წ., არ ავალბდა მას მოეტანა თავის წიგნში ერევნის ამბები, ისე როგორც მოიტანა განჯის ამბები?

ბ. მირ-იაკუბ ალუნიშნავათ სტოვებს იმ დიდ ფაქტსაც, რომ ვრაცაინმა წერილობით მიმართა ოსმალეთის სარდლობას სახლგარეშედ, ნება მიეცა აჯანყებულებისთვის არეზი გადალახათ გამშაგებულ მტრისაგან თავის დასაღწევათ. ოსმალეთის სარდლობამ ცივი უარით უპასუხა ვრაცაინს და თვით მისი წერილი მოსკოვის პრესაში გამოქვეყნდა. ამ რიგათ, მოხდა ერთი არაჩვეულებრივი ამბავი: სომხეთი ზურგს აქცევს რუსებს და მიმართავს თურქებს, პირველთ ებრძვის, მეორეთ თავშესაფარს სთხოვს, ხოლო «კავკასიის პრაზობების» ავტორი უყურადღებოთ სტოვებს კავკასიის ისტორიისათვის ამ წარუხოცელ ფაქტს!

დაახ. გასაოცარია ყველა ეს, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ უძღვნა ავტორმა მთელი ერთი თავი «ბოლშევიკების მიერ კავკასიის დაკავებას», რატომ დაუთმო ამ თავს 12 გვერდი (149-161)? ბ. მირ-იაკუბ ასე იწყებს ამ თავს: «ერთი ფაქტორთაგანი, რომელმაც ხელი შეუწყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დაკემას, ყოველ იქნეს გარეშე, იყო ბღღმქ-ვიკელი პრეზიდენტი (ხაზგასმულია ავტორის მიერ). ერებმა, რომელთაც ამდენი დევნა განიცადეს ცარიისტულ რეჟიმის ქვეშ, ბოლშევიკებში მოკავშირენი დაინახეს» (გვ. 149). შემდეგ მოაქვს ფაქტები, როგორიცაა: ლენინის დეკლარაცია, ოქტომბრის გადატრიალების უმალ, ეროვნებათა უფლების შესახებ თვითგამორკვევაზე და დამოუკიდებლობაზე; ბოლშევიკების მუშაობა მთაში, როგორ ისარგებლეს დენიკინის ბატონობა იქ; რუს მუშების როლი გროზნასა და ბაქოში ბოლშევიკების სასარგებლოთ. და ბოლოს ათავსებს იმ ორ ფრაზას, რომელიც ზევით დავინახეთ: ბაქოს შემდეგ ბათუმისკენ გასწიეს წითელ ჯარებმა და ცოტა ხანში სომხეთი და საქართველო აიღეს. რა დასკვნა უნდა გააკეთოს უცხოელმა მკითხველმა ამ «მიუდგომელ ისტორიიდან»? უყვევალათ ის, რომ მოსკოვის «მაკიაველიზმმა», როგორც ავტორი უწოდებს, შიგნიდან გასტეხა ამიერ-კავკასიის ერები და მათი ტერიტორიის დაკავება წითელი ჯარის უბრალო გასეირნება იყო!

განა დასაჯერებელია ეს? რა უნდა დაერქვას ამ განმარტებას, თუ არა ცილისწამება კავკასიის ერებზე? განა ბოლშევიკებიც ამას არ ამბობენ? ჩაგრული ერები, მათი მშრომელი მასები აუჯანყდენ ერთ-ერთულ ხელისუფლებას და თავი შეაფარეს მოსკოვის

განმათავისუფლებელ წითელ დროშასო! ესლა ხომ ცხადია, რად დასჭირდა ავტორს საქართველოს ბრძოლების წაჩუმება რუსეთის წინააღმდეგ! წაჩუმება სომხეთის წახობისა? განა მან არ იცოდა, რომ ყოველი ცდა მოსკოვისა, შიგნიდან აფეთქებინა საქართველო, მისთვის სამარცხვინოთ დამთავრდა? განა დაავიწყდა მას, რომ დაშნაკურ პარტიის გავლენას ვერ შეედრებოდა ერთი მუჟა ბოლშევიკების გავლენა სომხეთში?

მაგრამ საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ თვით აზერბეიჯანის და მისი ერები დაცულ იქნან ასეთ უსამართლო დახსიათებისაგან. განა განჯის აჯანყებამ სისხლით არ დაამტკიცა, რომ აზერბეიჯანის ხალხი არ მიემხრო პარლამენტის კაპიტულიაციას? მაშ სად გაჰქრენ კავკასიის ომების დიდი ტრადიციები, შამილის გმირობა და ბევრი სხვა, რომელსაც ასე მუქერმეტყველურათ ავეიწერს ავტორი სხვა თავებში? ნუ თუ მაჰმადიან აზერბეიჯანმა და მთამ დავიწყეს ეს ომები და ბატკანივიფ მიენდვენ რუსებს, თუ გინდ ბოლშევიკების სახით? ეს არა სჯერა თვით ავტორს და ამიტომ შეეცადა წინა თავში: «კავკასიის რესპუბლიკები და ოსმალეთი», სხვა «ფაქტორის» გამოხატვას (გვ. 139-147).

ეს თავი ასე იწყება: «ოსმალეთის ამბები, ყოველ იქვს გარეშე, ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომელმაც ყველაზე უფრო ხელი შეუწყო ბოლშევიკების შეჭრას კავკასიაში». ავტორი მოგვიტხრობს ოსმალეთის ბრძოლას არსებობისათვის, დიდ ომში დამარცხების შემდეგ, მუსტაფა ქემალის მეთაურობით; კავკასიის მაჰმადიანთა დიდ სიმპათიას ერთმორწმუნე ოსმალეთისადმი; ანკარას გადაბმას მოსკოვთან და აქედან თურქების «ავიტაციას ბოლშევიკების სასარგებლოთ» მთაში და აზერბეიჯანში. თურქები ბოლშევიკებს «ჩაგრულ ერთა მხსნელს» ეძახოდნენ—ამბობს ავტორი—მათი მიზანი იყო მოემზადებათ ნიადავი კავკასიაში ბოლშევიკების მოსვლისათვის, რადგან ამით ისინი უშუალო კონტაქტში შევლენ ოსმალეთთან და დაეხმარებიან უკანასკნელის ეროვნულ მოძრაობასო. ავტორი «უპასუხისმგებლოც» ეძახის ამ ავიტატორებს და ფიქრობს, «ისინი ანკარის მეთაურების გარეშე მოქმედებდნენო». ის ამბობს იმავეც, რომ «აზერბეიჯანის ჯარში დიდი რიცხვი თურქის ოფიცრებისა იყო; სახალხო გვარდიის უფროსი თურქის ოფიცერი მოსკოვის აგენტი აღმოჩნდაო», ავტორი ეხება თურქების ავიტაციას მთაშიც «ენვერ ფაშის ბიძის ხალილ ფაშის» მეთაურობით და სხ. (გვ. 144-145).

სიტყვა გაგვიგონებოდა, უნდა დავკმაყოფილდეთ ამ ამონაწერებით, რომლის ტენდენცია თავის თავათ ცხადია. არც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის ხანას შემძლია შეგვხო, ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, ტრაპიზონის და ბათუმის კონფერენციას, ბოლშევიკურ გადატრიალებას ბაქოში და სხ. მინდა მხოლოდ შეგჩერდე ორი სიტყვით ამიერ კავკასიის სეიმის დაშლზე. «26 მაისს 1918 წ., ქართველებმა ამდნეს ამიერ-კავკასიის სეიმი, დამ იხინი სტოვებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციას, და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადესო»—ხაზგასმით სწერს ბ.



მირ-იაკუბ (გვ. 111). გამოდის, ამ რიგათ, ქართველებმა დაანგრეს ამიერ-კავკასიის მთლიანობა!—სხვა დასკვნის გაკეთება მკითხველს თავშიც არ მოუვა. ეს მით უფრო ბუნებრივია უცხოელისათვის, რომ ავტორი არ მოუთხრობს მას ქართველების როლს ამიერ-კავკასიის მთავრობის და სეიმის შექმნაში, მათ თაოსნობას და მეთაურობას ამ საქმეში. როგორ მოხდა სეიმის დაშლა? მან მიიღო ერთხმად, სემონოვის წინამდევ, რეზოლუცია, რომლის ძალით თავისთავი დაშლილად გამოაცხადა. მოაქვს თუ არა ბ. მირ-იაკუბს სეიმის ეს რეზოლიუცია? მოითხოვდა თუ არა უბრალო ობიექტივობა ამ რეზოლუციის წიგნში მოთავსებას? მაშ ვისი და რისი ისტორიას სწერდა ის? აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს დეპუტატები ერთხმად იღებენ ამ ტრადიკულ გადაწყვეტილებას, როგორცაა ამიერ-კავკასიის მთლიანობის დაშლა, და ავტორიკი აწერს ქართველებს! სად გაგონილა ეს?

სეიმის დაშლის რეზოლიუციას წინ უძღოდა დეკლარაციები თვითეულ ერის სახელით, თითქო ამა-საც უნდა ჰქონოდა ადგილი ბ. მირ-იაკუბის «კავკასიის ერთა პოლიტიკურ ისტორიაში», ნამდვილათ კი წიგნში ვერაფერს იპოვით ამის შესახებ. იცით, უთუოთ, როგორ სისტემატიურათ, ნებით თუ უნებლიეთ, გვწამებენ ჩვენი ძვირფასი მეზობლები ქართველებს გულგრილობას, ზოგჯერ ორგულობას კავკასიის კონფედერაციის მიმართ! იქნება ესეც იყო მოტივი, რომ ავტორმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელით, მისი თავმჯდომარის ნ. ყორდანაის დეკლარაცია რომ არ ახსენა? სწორეთ იქ იყო ნათქვამი, სხვათა შორის, რომ საქართველო, მიუხედავად იძულებითი გაყრისა, ყოველ დონეს იხმარს ადგენილ იქნას კავკასიის მთლიანობა «კონფედერაციულ კავშირის სახით». ამ საბოლოო მიზანს ერთგულათ ემსახურებოდენ საქართველოს მესვეურნი როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის დროს, ისე მის დამხობის შემდეგ.

მე არ ვეხები, უადგილობის გამო, აგრეთვე ბ. მირ-იაკუბის მოკლე ესკიზებს აზერბეიჯანის, მთის, სომხეთის და საქართველოს ისტორიიდან. ბუნებრივია, რომ აზერბეიჯანის ისტორია უფრო მოგებულა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ესკიზებში. ავტორს შეეძლო, რა თქმა უნდა, მეზობლებისთვის მიემართა მათ შესახებ დაწერილ მოკლების შესამოწმებლათ, ამით ალბათ საქმეც ესიკვებდა.

საქიროა დასასრულ აღნიშნოს ერთი ფაქტი: «12 იანვარს 1920 წ. დიდ სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ საქართველო და აზერბეიჯანი იცნო»—სწერს ავტორი და ცოტა ქვევით უმატებს სომხეთიც იცნო (გვ. 121, 127). 12 იანვრის აქტი იყო ფაქტიური ცნობა, ავტორი არ იძლევა ამ განმარტებას, მაგრამ არაფერი, გასაკვირი უფრო ისაა, რომ ის არ აღნიშნავს საქართველოს იუნიდოულ ცნობას 27 იანვარს 1921 წ. იმავე უმაღლეს საბჭოს მიერ,—ესეც ზედმეტად ჩაუთვლია მას თავის «ისტორიისათვის». სავალალოა, რომ ამ დროს აზერბეიჯანი და სომხეთი, ისე როგორც მთა, რუსეთის უღლის ქვეშ გმინავდენ, მაშასადამე, მათი ცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ

იმის აღნიშნვა, რომ ყველა დიდმა სახელმწიფოებმა, რუსეთის ჩათვლით, ამერიკის გამოკლებით, ე. ი. 7 დიდ სახელმწიფოდან წ.მა იცნო საქართველო, განა რამეს დააკლებდა წიგნს? სხვა რამდენმა სახელმწიფომ იცნო იურიდიულათ საქართველო? და ამის ხსენება განა სასარგებლო არ იქნებოდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისათვის?

ამით ვათავებ ჩემ შენიშვნებს ბ. მირ-იაკუბის «კავკასიის პრობლემაზე». მე ვეცადე რაც შეიძლება შემეხლუდა საგანი, აღმენიშნა ზოგიერთი ტიპური ადგილები, არ გავცილებოდი ყველასათვის ცნობილ ფაქტებს და მკითხველი დამეთანხმება, იმედია, რომ ესენიც საკმარისია ავტორის «მიუდგომლობის» და ტენდენციების დასაფასებლათ. მან ვერ დააკმაყოფილა, უეჭველათ, ის ორი მოთხოვნილება, რომელიც სავალდებულო იყო მისთვის, როგორც კავკასიელ მოღვაწისათვის: ჩვენს საერთო მტერს მართლაც შეუძლია დაიხვიოს ხელზე წიგნის მთავარი ადგილები და არც ის მგონია, მათ ახალი მეგობრები მოგვიპოვონ უცხოეთში.

ავტორი მართალია, როცა ამბობს, რომ ჯერ არ დამდგარა დრო კავკასიის ერთა უკანასკნელ წლების ისტორიის დაწერისათვის და ამას ნათლათ ამტკიცებს მისი შრომა. მის წინ იდგა პრაქტიკული და არა თეორიული ამცანა: წინ წაიწია მისი ქვეყნის და კავკასიის კითხვა. ორიდან ერთი: ან ვიყავით სახელმწიფონი, ან არ ვიყავით. თუ ვიყავით—და ეს თითქო ავტორის რწმენაა—, მაშინ საჭიროა და სავალდებულო ერთი თვისება: ლოიალობა სხვა ერთა მიმართ. მართალია, ჩვენ მეზობლები ვართ, გვინდა კონფედერაციის ქვეშ უზრუნველყოთ ჩვენი არსებობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ან უკეთ—ეს ნიშნავს სწორეთ იმას, რომ უღარესი ლოიალობა გამოვიჩინოთ ერთმანეთის მიმართ. უამისოთ ჩვენი ერთობაც ზომ ყინულზედ იქნება დაწერილი.

ჩემი დაკვირვებით, კავკასიელნი ისე მწვავეთ არა ვგრძნობთ ამ უცხოეთში საერთო მტრის საშინელებას, როგორც ჩვენი ერნი ადგილობრივ. მოკლებულნი ვართ იმავე დროს საშუალებას, უარეს შემთხვევაში, ალბათ კეთილ სურვილსაც ერთმანეთს დაგუანლოვდეთ, ვეცადოთ გავიგოთ მეზობლის თავგადასავალი, მისი სპეციფიური ვარამი, გულღიათ ველაპარაკოთ ერთმანეთს თუ გინდა ძალიან ფაქიზ კითხვებზეც და საერთო ძალით შევიმუშავოთ ერთგვარი კავკასიის იდეოლოგია. ფორმალურათ აღიარება კონფედერაციისა საქმეს არ უშველის, თუ ჩვენს აზროვნებაში არ გაუდგამს მას ღრმა ფესვები.

კავკასიაზე ერთი კი არა ბევრი წიგნი უნდა იწერებოდეს უცხო ენებზე, მაგრამ ამისათვის, ჩვენს დროსა და პირობებში, როცა ჩვენი ერები უღმობელ ბრძოლაში არიან ჩაბმული და მასალაც არ მოგვეპოვება საკმაოთ შემოწმებულ და სრულად, ერთგვარი კოლექტიური თანამშრომლობა უნდა გავსწიოთ კავკასიელებმა, ერთმანეთს დავეხმაროთ, შევეკითხოთ, გავუსწოროთ. მხოლოდ მაშინ შევძლებთ წიგნიც მკვეთრი იარაღი გამოდგეს მტრის წინამდებ. მტერი ძლიერია, ყოველ შემთხვევაში, უკეთესია ასე გვეუღებოდეს ის.

გუმაგი,



### გოლუზვიკური გამოცემლობა

კომუნისტურ სამეფოში ანუ უკეთ სადიქტატოროში, დიდი ხანი არაა, გამოდის დროგაზომებითი გამოცემა «წიგნი», რომელიც იძლევა ცნობებს ქართული სტამბის, გამოცემების და მათი გავრცელების შესახებ. იშვიათად თუ მოიპოვება სხვა დარგი მოღვაწეობისა არსებითად ისე წმინდა, მალალი და საყვარელი, როგორც არის წიგნის ბეჭდვა. არაფერი არ ააშკარავებს ისე თვალსაჩინოდ და უტყუარად ერის კულტურულ დონეს, მუშაობას, საზოგადოებრივ ცხოვრებას, გონებრივ და ზნეობრივ თვისებებს, როგორც ნაბეჭდი—მისი მოწყობა, ხასიათი და შინაარსი, მისი გარეგნობა, მიხი სიყვარული, გავრცელება.

გამომცემლობა სპეციალური, განსაკუთრებული წარმოებაა, მაგრამ აქაც სრულის სიცხადით ვხედავთ ჩვეულებრივ ბოლშევიკურ ყვირილს, ფართოფურთს, ტრაზანს, თავის ქებას და არსებითს საქმეს ძალიან მცირეს. აქაც უდავოა ბოლშევიკების უნიჭობა—მათ არ შესწევთ ძალა და უნარი კარგად რისინე გაკეთების. აქაც იგივე ერთხელ და სამუდამოდ გაზვიანებული სიტყვებია სოციალიზმის დამყარების, გიგანტურ მიღწევების, სახალაპრო შემოქმედების. ხოლო ყოველივე ეს ზოგადი, ცარიელი ფრაზეოლოგია და როგორც კი რეალურ ფაქტებზე გადავალთ. სინამდვილეს მივუახლოვდებით. დავინახავთ, რომ მდგომარეობა მეტად, მეტად არასანუგეშოა.

თუ როგორაა დაყენებული დღეს საქართველოში სტამბის და წიგნის საქმე, ამის შესახებ ვალაპარაკოთ თვითონ ბოლშევიკები და მოვიტანოთ მარტო «წიგნის» ნუმრებში დაბეჭდილი ცნობები. ყოვლის უწინარეს ვნახოთ სტამბის ტექნიკური მოწყობა. «პოლიგრაფიულ შესაძლებლობათა მხრივ ჩვენ უკანასკნელი ადგილი გვიჭირავს საბჭოთა კავშირში», ვკითხვლობთ «წიგნის» მესამე ნუმრეში. მეორე კომუნისტის სიტყვით, «ამ უამარ საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობა (ნაკლებად მნიშვნელოვან რაიონულ სტამბების გამოკლებით) შეიცავს 12 სასტამბო ერთეულს—10 ტფილისში და 2 პროვინციაში—, ამათგან ორი სტამბა (ზარია ვოსტოკა და კომუნისტი) სპეციალურად პერიოდულ გამოცემას ემსახურება. ერთი რკინის გზის საჭიროებას და ამიტომ ანგარიშიში მისაღები არაა; მათსადამე რჩება შვიდი სტამბა, რომლებიც მეტანაკლებად წიგნების ბეჭდვას აწარმოებენ». ავტორი ხაზს უსვამს სასტამბო მანქანების ტექნიკურ მოუწყობლობას, სიძველეს და ვაცვეთილობას და ასე ახასიათებს აწყობის საქმეს: «წიგნების წყობა უმეტეს ნაწილად წარმოებს ძველებურად, თუთქმის იმავე წესით და ხერხით, როგორც გუტენბერგის ხანაში». «კიდევ უარესი მდგომარეობა გვაქვს სამკინძაო ცენტრში. აქ მთელი მუშაობის პროცესი—თავიდან ბოლომდე «კუსტარული» წესით მიმდინარეობს».

რას ბეჭდავენ ბოლშევიკები ამ გუტენბერგის დროინდელ სტამბებში? «წიგნის» რედაქცია სიამაყით გვეუბნება: «სამასი წლის განმავლობაში (1629 წლიდან, როდესაც დაიბეჭდა პირველი ქართული

წიგნი რომში) სულ გამოიცა ქართულ ენაზე დაახლოვებით 5000 წიგნი 11 მილიონი ტირაჟით, მაშინ როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დროს, სულ რაღაც 11 წლის განმავლობაში, ქართულ ენაზე გამოიცა 4441 სახელწოდების წიგნი 22 მილ. ტირაჟით».

მერე ამტკიცებს ეს დაპირისპირება და შედარება რასმე? ჯერ ერთი ისა, რომ დღეს ყველგან ევროპაში ერთი დღის განმავლობაში იბეჭდება გაცილებით მეტი, ვიდრე ორი-სამი საუკუნის წინად იბეჭდებოდა წლების განმავლობაში, და აქ სრულებით მოსატანი არაა ესა თუ ის რეჟიმი, ეს მხოლოდ საერთო განვითარების შედეგია. მერე დანამდვილებით შეიძლება აპრიორი იმის თქმა, რომ თავისუფალი საქართველო 11 წლის განმავლობაში გამოსცემდა უფრო მეტს, ვიდრე შესძლეს ბოლშევიკებმა, და ბოლშევიკებს საამაყო არაფერი აქვთ. თუ თვალს გადავავლებთ ახლა იმას, თუ როგორ წიგნებს ბეჭდავენ ისინი, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ. თუ რას ემსახურებიან. ბუნებრივია, რომ პირველი ადგილი უკავია სახელმძღვანელოებს და საბავშვო წიგნებს (სამ მილიონ ცალზე მეტი და მილიონ ნახევარი ცალი); რასაკვირველია მეტი წილი ასეთ გამოცემებისა არის ტენდეციურად შედგენილი და ადამიანობის და ეროვნების შემოყვანელი; მერე მოდის პარტიული ბოლშევიკური ლიტერატურა და მარქსიზმ-ლენინიზმი (მილიონ ექვს ათასზე მეტი ცალი). თითქმის უკანასკნელი ადგილი უკავია სიტყვა კაზმულ მწერლობას—347 ათასი ცალი, მაგრამ ამ რიცხვში დიდი ადგილი ეკუთვნის ახალმოდის აგრე წოდებულ «პროლეტარულ» მწერლობის ნაწიერებს თუ ნაცოდვილარს და ნამდვილ ქართულ შემოქმედებას რჩება მცირე რაოდენობა, და ეს სწორედ ყველაზე უფრო დამახასიათებელია იმის, თუ როგორ სცემენ ბოლშევიკები პატივს ქართულ ეროვნულს საგანძურს, როგორია მათი საგამომცემლო მოღვაწეობა.

მაგრამ შეიძლება ვსთქვათ: რაც იბეჭდება იბეჭდება, და ყოველი ქართული დანაბეჭდი პატივსაცემია. ხოლო ეს პატივისცემა უპირველესად მოეთხოვება თვითონ წიგნის გამომცემელს, დამბეჭდავს. ხიანს ბოლშევიკურ წიგნებში რაიმე სიყვარული, პატივისცემა, ყურადღება იმ კულტურულ ღირებულებებისა, რომელსაც წარმოადგენს თავისთავად წიგნი? არა. ოდნავად არა, ამას ადასტურებს ანკეტა, რომელიც მოუხდენია «წიგნის» რედაქციას ქართული მწერლებში. ერთი მწერალი სწერს: «ჩვენს თვალწინ იხრდება ქართული წიგნის გამომცემლობა, მაგრამ სამწუხაროდ გამოცემათა რიცხვობრივ ზრდას თან ხშირად არ ახლავს წიგნის კულტურის წარმატება. ამ მხრივ უმწეო მდგომარეობაშია მასიური გამოცემები... ხშირად მახინჯდება ქართული ენაც». კიდევ უფრო სასტიკია მეორე მწერალი, რომლის სიტყვით, «კულტურული წიგნისათვის საჭიროა კულტურული მწერალი, ასეთივე გამომცემელი და სტამბის მუშაკი. საჭიროა თანადროული პოლიგრაფიული ბაზისი და შესაფერი მასალა. სამწუხაროდ არც ბაზისი გვივარგა, არც მასალა მოგვეპოვება... წიგნის სიყვარულმა იკლო, ვინაიდან დაუდევრობა ეტყობა აწყობას, დაბეჭდავს, აკინძვასაც და ყდასაც. კო-



რექტურა ხომ ყბად ასაღები გავგინდა. ენის მხრივაც იშვიათად გამოდის წუნდაუდებელი წიგნი».

ამ გვარივე უმწეობაა წიგნის გავრცელებასა და გაყიდვაში. ჩვენ არ მოვაწყენო მკითხველს იმ საანეკდოტო ამბებით, რომლებიც მოთავსებულა თვითონ «წიგნის» ფურცლებზე, თუ როგორ უვიც ხალხის ხელშია წიგნის გაყიდვის საქმე, როგორ უპატივცემულათ ეპყრობიან ისინი როგორც წიგნს, ისე წიგნის მომთხზვნელს.

ერთი სიტყვით, რა მხარესაც არ გადაავლებთ თვალს ბოლშევიკურ გამომცემლობაში, ერთსა და იმასვე ხედავთ: ბოლშევიკების საქმიანობის არარაობა. წიგნი კულტურული სულია, წიგნი ერის და ადამიანის ენაა. ხოლო სად კულტურა, ერი და ადამიანი და სად ბოლშევიზმი!..

ბ.

შერილი ამერიკიდან

ფინკენშტეინის ჩამოსვლამ (ვილაცა მკითხველი ერთ აქაურ გაზეთს შეეკითხა, ნამდვილი სახელი ლიტვინოვისა, რა არისო, და გაზეთმაც დაასახელა) და პრეზიდენტი რუზველტის მიერ საბჭოების ცნობამ ეკონომიური მდგომარეობა ოდნავაც არ შესცვალა საუკეთესოდ. პირიქით, იმ დროს სტოკები და ბონები, რაც საერთო ეკონომიკის ბარომეტრია და რომელიმე დადებით მოვლენას ან ვინმე გავლენიანი პირის სასარგებლო სიტყვასაც აწვევით უპასუხებს, არამც თუ არ გამოკეთდა, არამედ დაწვევით უპასუხა. ასეც იყო მოსალოდნელი. ამერიკას ნედლი მასალა ხომ აუარებელი აქვს. ფაბრიკატებს და პროდუქციას სატევი ალაგი არ მოეპოვება. მათი ფასები მეტად დაცემულია. სწავვენ სიმინდს და ხორბალს, ქუჩაში ასხამენ რძეს, რომ ფასები ასწიონ. მთავრობა ჯილდოებს იძლევა, ოღონდ ნათესის სივრცე შეამოკლონ. რამოდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ბამბა იყო დახნული და გაფუჭებული მთავრობის მოწოდებით, როცა ის აყვავებული იყო. ამისთვის მთავრობამ ფული გადაიხადა. აღბათ ქვეყანა მთარა გაზეთებში მოთავსებულმა სურათმა, სადაც პრეზიდენტი რუზველტი თვითონ აძლევს პირველი ჩეკს 517 დოლარისა ტექსასის შტატის ფერმერს ვ. მორისის იმიტომ, რომ მან პირველმა დახნა და უვარგისი გახადა 47 ქცევა აყვავებულ ბამბისა—თავისი კვოტა 159 ქცევიდან (მკითხველო, არ წააგავს იმ ქვეყანას, სადაც «დამკვრელები» და «შაკ ბრიგადები» სულს ლაფავენ პურის მოყვანაში). ამერიკას საქონლის გატანა უნდა, ამისთვის თავის დოლარის დაცემას ცდილობს საზღვარგარეთ და კიდევაც მიაღწია მიზანს, რომ ამით უცხოელებს ამერიკის საქონლის ყიდვა გაუადვილოს. აი ამისთანა მდგომარეობაში რას უშველის გადატაკებული რუსეთი. თვით ელჩის ბულოტის სიტყვით, რომელიც მან წარმოსთქვა აქ კომერციულ საზოგადოების წინაშე, რუსეთს არ შეუძლია რაიმე იყიდოს ამერიკისაგან, სანამ ეს უკანასკნელი არ იყიდის რამეს რუსეთისაგან: «გთხოვთ ნუ იქონიებთ იმის ილუზიებს, რომ ჩვენ შეგვიძლია

მივიდეთ რუსეთს, თუ არ ვიყიდით რუსეთიდან—ეს შეუძლებელიაო» და ურჩია მან გაცვლა-გამოცვლა (ნიუორკის ჰერალდ-ტრიბუნი, 20 იანვარი 1934 წ.). ნახევარ წელზე მეტია, რაც დროგამომშვებით ცნობები იბეჭდება პრესაში, რომ რუსეთი ცდილობს ოთხი მილიონი დოლარი სესხად აიღოს და ის უკან ისევ ბედ დატოვოს, რომ მანქანები და სხვა ნივთები იყიდოსო. მაგრამ ამერიკელი კომერსანტი იმ ქართულ დედაკაცს არ წააგავს, ვინც ათი ქათამი გაყიდა და ბედ ერთი უკან მიიღო.

ასე რომ ფინკენშტეინის ქულმოგლეჯილ სიჩქარით ჩამოსვლამ აქაური პრესა ხუმრობის გუნებაზე დააყენა. რუსეთის ელჩი ტროიანოვსკიც არ ჩამორჩა მას. აქაური გაზეთები აღნიშნავენ, რომ მან რეკორდი გააკეთაო. თურმე აქაური ისტორიის არ ახსოვს, ნიუორკში ჩამოსული ელჩი 24 საათში ვაშინგტონში წარმდგარიყოსო. საბჭოების ელჩი აღბათ ფიქრობდა, აბა, არიქა, რამე არ გადაიფიქრონო!

რა მოხდა, რატომ ასე უცბად დატრიალდა ჯარა? ნათქვამია: მახათი ტომარაში არ დაიბნელებო. სწორედ ეს მახათი ახლა ტომრიდან თავსა ყოფს. თურმე რუზველტ-ფინკენშტეინ-ტროიანოვსკის სიჩქარის მიზეზი იაპონია ყოფილა. ამერიკის ავტორიტეტი რუსეთთან დამეგობრებით თითქოს იაპონიას ალაგმავდა, მისი გაბედული წინსვლა შეჩერდებოდა. მაგრამ იაპონიის საგარეო მინისტრმა მაშინაც განაცხადა—ვერ შეგვაშინებთო (იხ. ჩვენი წერილი «დამ. საქ.» № 95) და გააგრძელა კიდევაც თავის პოლიტიკა. მანჯურიას თავისკენ იმაგრებს ჰენრი დაუსის ოფიციალურად მომავალ მართში ტახტზე ადსმით, და ასე «მეზობლად» უზდება დიდ მანძილზე რუსეთს. კითხვა იბადება, რას იზამენ ახლად დამეგობრებულ «125 მილიონიანი და 170 მილიონიანი უძლიერესი ნაციები» (როგორც ეს ტროიანოვსკიმ თავის წარდგომაში თქვა), რომ იაპონიამ მეტი გაბედოს? ამის პასუხს აქაურ პრესის სტრიქონებში და სტრიქონებს შუა ვკითხვლობთ, თუ რომ შეტაკება მოხდა რუსეთსა და იაპონიას შუა, ამერიკა რუსეთს ვერ დაეჩქარება (ეს თითქოს გაბედული გამოთქმაა, მაგრამ ეს არის ჩვენი რწმენა).

მიუხედავად ზოგიერთ იაპონელ მაღალ პირების გამომწვევი სიტყვებისა (მაგალითად, ადმირალი ნობუმასა სუეტსუგუ იაპონიის ფლოტის კამანდირი ამბობს, რომ—რადგან შეერთებულ შტატების მიერ რუსეთის ცნობა ნიშნავს იაპონიის მილიტარულ რგოლით შემორტყმას,—ჩვენ უნდა ვემზადდეთ ომისთვის ამერიკის წინააღმდეგ და კიდევაც ვემზადებითო). ამერიკის პრესა ძალიან თავდაჭერილად და პაიფიურად ლაპარაკობს, თითქოს მთავრობის აჩქარებულ და იაპონიის გამაღიზიანებელ გადადგმულ ნაბიჯის გამოკეთებას ლამობს. აი რას ამბობს ნიუორკის «ჰერალდ ტრიბუნი», რესპუბლიკანების ოფიციალური და გავლენიანი გაზეთი, თავის მოწინავე წერილში (15 იანვრისა): «იმ დროს, როცა იაპონიის ჯარის და ფლოტის ხალხი ეწევა პროპაგანდას, რომ მოსალოდნელია კრიზისი წყნარ ოკეანეში 1935 წლისთვისო, ამერიკამ წყნარად გამოიყვანა თავისი ფლოტი იქიდან ატლანტიკის ოკეანეშიო. ამ ქვეყნის მიერ





რუსეთის ცნობაში ისეთი არაფერია, რომ წარმოვიდგინოთ რუსეთ-ამერიკის ალიანსი იაპონიის წინააღმდეგ. არც ერთ ამერიკის პუბლიცისტს, რომლის აზრი ღირდეს მოსათანად, არ გამოუთქვამს რწმენა იმისა, რომ შეერთებული შტატები მომხრე იყოს, აღმოუჩინოს რუსეთს რამენაირი დახმარება, რაშიდაც არ უნდა გამოიხატებოდეს».

ამ კითხვას სენატიც შეეხა თავის სხდომაზე. 11 იანვარს სენატისთვის წარდგენილი იყო დასამტკიცებლად რუსეთში გაგზავნილი ელჩის ვილიამ ქრისტინანე ბულოლიტის სახელი, რაც მოხდა დიდი და ცხარე კამათის შემდეგ. სენატორ რობინსონმა (რესპუბლიკანელი პარტიის) «ცეცხლმფრქვეველ სიტყვაში» (ნიუორკის ჰერალდ-ტრიბუნის გადმოცემით) მიუთითა სენატს რუსეთის ცნობის საშიშროებაზე ამერიკის მშვიდობიანობისთვის, «რადგან რუსეთ-იაპონიის ომი ჰკიდია შორეულ აღმოსავლეთის ჰერშიო». მან განსაკუთრებით წინააღმდეგ გაილაშქრა ელჩ ბულოლიტის წინააღმდეგ, ვინც წინადაც არაოფიციალურად დადიოდა ევროპის სატახტო ქალაქებში პრეზიდენტისთვის. აგრეთვე სენატორი ვანდენბერგი (რესპუბლიკანელი) წინააღმდეგი იყო რუსეთის ცნობისა, «სანამ რუსეთის მთავრობა ეწევა დამამხობელ პროპაგანდას, სრულებით არ იყო ჩვენი საქმე მისი მიღება საერთო ამხანაგობაში ერთა ოჯახში». მერე მან წაიკითხა ლიტვინოვის წერილები პრეზიდენტისადმი და მისი დაპირებები და სთქვა: «თუ ეს დაპირებები იყო მიცემული «ენით პირში» (ამერიკული გამოთქმა), შეუძლებელია მუდმივი მეგობრული განწყობილება იმ მთავრობასთანაო». მან უჩიბა ამერიკის მთავრობას, თვალყური ადევნოს კომუნისტურ მოქმედებას აქ და ნუ მოერიდება მათ დაქერა-დარბევას და დაუმატა: «საკვირველია ის შემთხვევა, რომ კაცი, ვის სახელად ქრისტინანე» (ელჩი ბულოლიტის შუა სახელია, რადგორც ამერიკელები უძახიან) ქვია, იგზავნება იმ უღმერთო ქვეყანაშიო!»

ვაშინგტონშიც ოფიციალურად უარყო პრესის ცნობა პარიზიდან, რომ თითქოს ამერიკას და რუსეთს ქონდეთ შეთანხმება—თავდაცვის პაქტი—წყნარ ოკეანეშიო. არავითარი მსჯელობა ამ კითხვაზე ამერიკასა და რუსეთს შორის არ ყოფილაო.

ასე რომ ცდებიან ე. ჰერიო და მასთან ჯ. ლონგე, როცა განაცხადეს, რომ მეორე რუს-იაპონიის ომში შეერთებული შტატები რუსეთს დაუჭერს მხარსო. მათ არ იციან ამერიკის ხალხის სულისკვეთება. აქაური ხალხი არასოდეს არ აპატიებს ვულდრ ვილსონს ამერიკის ჩათრევას ომში. თუმცა პრეზიდენტმა ვილსონმა მიიღო ყოველი ღონე, რომ ამერიკა ომში არ შესულიყო, მაინც ეს მოხდა მისი პრეზიდენტობის დროს და ხალხი მას აბრალებს. ის იყო ამორჩეული 1916-ში იმ პლატფორმითა და დაპირებით, რომ «ამერიკას იყოლიებდა ომის გარეშე»—ეს მან ვერ შეასრულა. უფრო ამ უკმაყოფილების მიზეზით იყო, რომ კონგრესმა მხარი არ დაუჭირა ვილსონის მოქმედებას: არ დაამტკიცა ვერსალის ზავი და არ მიიღო მონაწილეობა ვილსონის პირმშო შვილ—ერთა ლიგაში. და ის თითქმის პოლიტიკურად

უარყოფილი მოკვდა, დაუძლურებული უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არ იქნება გადაჭარბებული, რომ ითქვას: ამერიკის ხალხი დღეს ევროპის ერებზე მეტად გრძნობს დიდი ომის გამანადგურებელ შედეგებს. ომის დროს ევროპა იყო ამოუვსებელი ბაზარი ამერიკისთვის. ამ მოვლენამ გაათქვია, გაასივა, გაბერა ამერიკის წარმოება. უკანასკნელ წლებში კი ეს ბაზარი დაშრა და ამერიკა დიდ კრიზისს განიცდის. ეს ომმა მოიტანა. ამით შეშინებული ამერიკა, ჩვენი რწმენით, ომში არ მიიღებს მონაწილეობას. მით უმეტეს, რომ შორეულ აღმოსავლეთში ამერიკას არა აქვს სამკვდრო სასიცოცხლო ინტერესები, როგორც ეს არის რუსეთისთვის. ფილიპინის კუნძულების გათავისუფლება პრინციპალურად შეერთებულ შტატებს მიღებული აქვს, მხოლოდ კითხვა დროზეა. სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად ამერიკის ინტერესები მხოლოდ ბაზარშია—ომისთვის ომი არ უღირს. იაპონიის საგარეო მინისტრის თქმისა არ იყოს, ამერკასა და იაპონიას ადვილად შეუძლიათ გამონახონ საერთო ენა. «გადაჭრით უნდა ითქვას, რომ იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის არ არსებობს ისეთი კითხვა, რომლის გადაჭრა ძნელი იყოსო», სთქვა მან (წარმოთქმული დიეცის (პარლამენტი) წინაშე, 23 იანვარს). ასე რომ არც ერთი მათგანი «იძულებული» არ არის და არც ერთისთვის ომი «ხელსაყრელი» არ არის ერთმანეთთან. სულ სხვაა რუსეთ-იაპონიის მდგომარეობა. ორთავემ—შორს შეტოპეს, იაპონიამ საქმით და რუსეთმა სიტყვებით. ყველას—დიდ-პატარა კომუნისტს პირზე აკერია სტალინის სიტყვები: «არ დაეთმობთ ერთ გოჯს ჩვენი მიწისასო». დახვევა საშიშოა.

საინტერესოა დაუმატოთ ჩინელ დიპლომატის აზრი მისი ქვეყნის პოზიციაზე.

ტ. ზ. კუუს (ყოფილი წევრია მთავრობისა, რომელიც ახლად ჩამოსულია და ლექციებს კითხულობს ამერიკის უნივერსიტეტებში), რომ ჰკითხეს: «ინტერნაციონალური სიტუაცია როგორია შორეულ აღმოსავლეთში და ევროპაშიო», სთქვა, რომ იაპონია ისე შორს შევიდა რუსეთის სფეროში, რომ ომი მათ შორის თითქმის აუცილებელიაო. ამ შემთხვევაში მისი აზრით ჩინეთი დარჩება ნეიტრალური, თუმცა მისი სიმპატიები რუსეთისკენ იქნებაო. ნაჟნო.

**უცხოეთის მიმოხილვა.**

პარიზი 6 და 12 თებერვალს.

6 თებერვალს, გვეგონებოდათ, პარიზი დაუბრუნდა თავის ტრადიციულ რეგოლოჟიურ დღეებს, ნამდვილათ კი. ეს იყო კონტრეველუციური დღე. მონარქიულ და ფაშისტურ ახალგაზღვრებამ, წასისინებულმა დიდმა პრესის მიერ, უცბათ განიერი კონკორდის მოვლანი გაავსო და იქიდან ბურბონის სასახლეს ანუ პალატას ცუცხლითა და მახვილით ემუქრებოდა. ბრბოს გადაეღობა პოლიცია და გვარდია, მოხდა შეტაკება, დახოცილ იქნენ ათეულნი, დაჭრი-



ლი ასეულის. ბრბომ ცეცხლი წაუკიდა საზღვაო სამინისტროს, ამბობენ, ელისეს სასახლეზე თავდასხმა და პრეზიდენტის შეპყრობაც იყო განზრახულიო.

პასუხად შრომის კონფედერაციამ და სოციალისტურმა პარტიამ 12 თებერვალს 24 საათის საყოველთაო გაფიცვა და მშვიდობიანი მანიფესტაციები მოაწყვეს მთელს საფრანგეთში. უნდა ითქვას, ორივე არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით ჩატარდა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თვითმართველობის და სახელმწიფოს წვრილმა მოსამსახურე-მონებლებმა, განსაკუთრებით ფოსტა-ტელეგრაფის და სახალხო მასწავლებლებმა ისახელეს თავი. საყოფადღებოა, რომ ამ გამოსვლებს შეუერთდნენ კომუნისტებიც, მათი პარტია და სინდიკატები. ამბობენ, ამის მიზეზი გერმანიის გაკვეთილი იყო, ნამდვილათ კი მოსკოვის ბრძანებაა მიზეზი: სტალინს ეზინია, რომ მემარჯვენე საფრანგეთი არ მოისურვებს მეგობრულ განწყობილებას მასთან.

სისხლის დანთხვევამ შეაშინა რადიკალების მთავრობა და სამსახურიდან გავიდა, მის მიერ შედგენილი იქნა «პარტიათა ზავის» მთავრობა, რომლის თავმჯდომარეს, ყოფილ პრეზიდენტ დუმერგს, გვერდს უმშვენიებენ პოზიციის და ოპოზიციის ლიდერები: ერიო და ტარდო, იქვეა სამხედრო მინისტრად მარშალი პეტენი და შრომის მინისტრად ნეო სოცილისტი მარკე. არქეო-სოციალისტები ბლუმის მეთაურობით გაიძახიან, ეს არის კონტრევოლუციის და ავანტურის სამინისტრო. ისინი არ ამბობენ, რომ ერთ-ერთი მიზეზი კრიზისა თვითონაც არიან. უკანასკნელ არჩევნებში რადიკალების და სოციალისტების კარტელმა გაიმარჯვა და, მიუხედავად ამისა, სწორეთ სოციალისტები სცემდნენ რადიკალთა მთავრობებს, 1932 წ. მაისიდან 5 მთავრობა და სცეს!

ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი მშვიდობიანობა დამყარდა, დუმერგის მთავრობას უდიდესი უმრავლესობა ჰყავს როგორც პალატაში, ისე სენატში. აირჩიეს ორი საანკეტო კომისია დეპუტატებისგან, უნდა გამოიძიონ სტაგისკის სკანდალი და 6 თებერვლის პასუხისმგებლობა. ეს ორი მოვლენა ერთმანეთსეა მჭიდროდ გადაბმული. ბიუჯეტს არაჩვეულებრივი წესით ატარებენ, შემდეგ დაისმის კითხვა პარლამენტის დათხოვნისა თუ გადაადებისა; ბევრს უნდა ხალხის წინაშე წარდგენ ანგარიშით. მემარჯვენეთ ეხლა არ ეტყობათ ეს სურვილი, თუმცა დათხოვნა სწორეთ მათი ღოზუნგი იყო. ევროპის გაფაშისტენა საფრანგეთის კარებზეა მომდგარი, მაგრამ 12 თებერვალმა თითქო გააფრთხილა წრეგადასული აგიტატორები მარჯვნივ.

სისხლის ტბა ვენაში.

ავსტრიის სოციალდემოკრატიამ ბრძოლა მისცა დოლფუსის მთავრობას. სამი დღე ნამდვილი სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული ვენის და სხვა სამრეწველო ცენტრების ქუჩებზედ. თოფები და ტყვიის-მტრქვეველები ბლომათ იყო ორივე მხარეზე, მაგრამ არტილერიამ გადასწყვიტა ბედი, სოციალდემოკრატის არ ჰქონდა ეს იარაღი და სასტიკათ დამარცხ-

და. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ქალები და ბავშვები მუშების მხარეზე, ბევრი დახოცეს, კიდევ მეტი დასჭრეს. გამარჯვებულნი შურს იძიებენ, მოსპეს მუშათა პარტია, სინდიკატები, კოოპერატორები, ბანკები, კასები, გაზეთები. წითელი ვენა გაშავდა, სოც.-დემ. ხმოსანთა უმრავლესობა ციხეშია, ქალაქის თავი, მათი უხუცესი ზაიცი, იქვე გარდაიცვალა. ინტერნაციონალის თეორეტიკოსი ოტო ბაუერი და შუტბუნდის (მუშათა მილიცია) სარდალი დეიჩი, ორივე დაჭრილნი, ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე დავიდნენ. სამხედრო სამსახურელონი ხვრეტენ მუშათა დამსახურებულ მეთაურებს.

ცხადია, ბრძოლისთვის ცუდი მომენტი იყო არჩეული. როცა სოციალდემოკრატია ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მაშინ არ გამოვიდნენ, ერთდებოდენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, რომელსაც ემუქრებოდა გერმანია. ერთ წელზე მეტია, რაც დოლფუსის მთავრობა სდევნიდა და არღვევდა სოც.-დემ. ორგანიზაციებს, ძალზე დაასუსტა ისინი და ამ მდგომარეობაში ვერ გაუძლებდნენ მის შეიარაღებულ ძალებს. მით უფრო, მათ შეუერთდა ჰაიმევერ (ფაშისტების მილიცია) და ფაქტიურათ ესაა დღეს ავსტრიის ბატონი.

დიდი სახელმწიფონი სავანებელში ჩავარდნენ, რადგან გაფაშისტებული ავსტრია თავისით ჩაუვარდება გერმანიას ხაზში. იტალიის წინადადებას შეუერთდნენ საფრანგეთი და ინგლისი და სამივემ განცხადება გამოაქვეყნეს, რომ ავსტრიის დამოუკიდებლობა მათი პოლიტიკის ერთ-ერთი ღერძია. დიდი სახელმწიფოები ადვილათ იფიცებენ, რა თქმა უნდა, როცა ავსტრიის «პატარა კანცლერს» ექმნაგებოდნენ, აძლევდნენ მას ფულსა, იარაღს და ამ რიგათ შეაძლებინეს დემოკრატია სისხლში ჩაეხრჩო, ამით ქვეყნის დამოუკიდებლობაც გასწირეს. ავსტრიის ფაშისტები პირველ რიგზე იგივე გერმანელები არიან და, რა თქმა უნდა, ბერლინისკენ იცქირებიან.

ბალკანეთის პაქტი.

კიდევ ერთი პაქტი, ურთიერთ საზღვრების გარანტიის და თავდაზღვევის. ბალკანეთი ის ადგილია, სადაც პირველათ იფეთქა 1914 წ. დიპლომატიის დაშლის შემთხვევა, დამშვიდება დიდი საქმეა, და მთავარი ინიციალორს ტიტულესკოს ძეგლსაც დაუდგმენ, თუ ახალდაბადებული უღლეური არ გამოდგა. და ეს რომ არაა გამორიცხული, იქიდან სჩანს, რომ დამარცხებული ბულგარეთი არ აწერს პაქტს ხელს, არც ალბანეთი, მაშასადამე, მისი მფარველი იტალია აშკარათ არ თანაუგრძნობს მას. რუმინეთი, საბერძნეთი და ჩეხოსლოვაკია, სამივე მოგებულნი დიდი ომიდან, რასაკვირველია, დაინტერესებული არიან შეინარჩუნონ ვერსალის საზღვრები, რომელსაც რევიზიით ემუქრებიან ყოველ მხრიდან.

მაგრამ არსებულ საზღვრების ამ გარანტიას უერთდება ოსმალეთიც და ესაა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო. ეს პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებულ სახელმწიფოებს სამხედრო კავშირით ეკვრის დამარცხებული სახელმწიფო. მართალია, მოსკოვის პაქტებმა უკვე გათქვიფა გამარჯვებულ-დამარცხებულნი, მაგრამ იქ ლაპარაკია თავდაუხსნელო-





ბაზე, ბალკანეთის პაქტი კი მეტს მოითხოვს—იარაღით საზღვრების გარანტიას. ოსმალეთი თითქმის ეყრება თავის ძველ მოკავშირე გერმანიას, ისე როგორც მოსკოვი გაეყარა მას. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მიზნების ერთიგობას.

პირიქით! სიმართლესთან უფრო ახლო უნდა იყოს ოსმალეთის სურვილი თავისუფალი ხელი დაუტოვოს, თუ ვინიცობა საბჭოთა კავშირი, საგარეო თუ შინაურ სიძნელეთა გამო, ძირს დაექანა. ამ შემთხვევისთვის მისთვის საჭიროა ზურგის უზრუნველყოფა ევროპის მხრით.

### ბოლშევიკურ ფულის ნამდვილი ფასი

ბოლშევიკური ფული ეცემა! ჩერვონცის ფასი დეკარდა! ბოლშევიკური მანეთი დაცა! გვესმის დიდი ხანია ყოველის მხრიდან.

რომ ბოლშევიკურ რუსეთის ფული დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, ეს იმ ვარაუდიდანაც სჩანს, რომელსაც ბეჭდავენ «იხვესტია».

1937 წელს, ე. ი. მეორე სუთწლიდის უკანასკნელ წელს, ბოლშევიკურმა წარმოებამ უნდა მიაღწიოს ამ ვარაუდით, 103 მილიარდ მანეთს.

იმ ძალდატანებითი კურსით, რომლითაც იძულებულია, ვისაც მოსკოვში აღმოჩნდება დღეს, ვსთქვათ, ფრანგული ფრანკები, დაახურდავოს ისინი, 103 მილიარდი მანეთი ნიშნავს, არც მეტს, არც ნაკლებს, 1287 ნახ. მილიარდ ფრანკს.

ასტრონომიული ციფრია, განა!

მაგრამ ნუ დაფრთხებით, მკითხველო,—ეს იძულებითი კურსის ეფექტია.

ბოლშევიკურ ფულის ნამდვილ ღირებულების გამოსანგარიშებელ საფუძველს თვით ბოლშევიკებივე იძლევიან.

მეორე სუთწლედში განზრახულია რკინის გზების სივრცის გადიდება. სხვათა შორის გაყვანილ უნდა იქნას მოსკოვისა და დონეცის ბასეინის შემაერთებელი ხაზი.

ამ ხაზის სიგრძე იქნება 1078 კილომეტრი (დაახლოებით 1025 ვერსი) და მის გასაყვანად გადაღებულ იქნება 433 მილიონი მანეთი.

ამრიგად ამ რკინის გზის ყოველი ვერსი დაჯდება 422.439 მანეთი (433.000.000 : 1025).

რკინის გზების მშენებლობა დაიწყო რუსეთში მოსკოვ პეტერბურგის ხაზის გაშენებით. ამ პირველ ხაზის ერთი ვერსი დამჯდარა 50.000 მანეთამდე. მაგრამ შემდეგში, როდესაც აღმშენებლების კადრი დახელოვნდა და გამოიცადა, ამ ფასმა ნელ-ნელა იკლო და უკვე წარსულ საუკუნის ბოლო წლებში ეკონომიკისთვის გამომანგარიშებით ერთნაირი ნიხრი დაწესდა:

ვაკვზე გაყვანილ რკინის გზის ერთი ვერსის ფასი 17.000 მანეთზე ჩამოვიდა.

17.000 მან. და 422.439 მან.!

აი, ის ციფრები, რომელთა შედარება გვაძლევს ბოლშევიკური ფულის ნამდვილ ფასს.

მანეთის ფასი დაცემულა იმდენად, რამდენადაც

გაძვირებულა ერთის ვერსის რკინის გზის გაყვანა: 25-ჯერ (422.439 : 17.000).

მანეთში რომ ძალდატანებით 12 ნახ. ფრანკს გახდევინებენ, ნამდვილად ნახევარი ფრანკი ძლივს ღირს, ანუ ოქროს კვალობაზე 3 კაპ. ნახევარი.

აქაც წაგებული არ დარჩეს ფრანკების დამხურდავებელი, რადგან ბოლშევიკური ვარაუდი დიდ შესწორებას მოითხოვს.

ბოლშევიკებმა ვერსი 422.439 მან. იანგარიშეს, მაგრამ დღეს რომ მუშის ცხოვრების მოთხოვნილება იგივე ყოფილიყო, როგორიც მაშინ, როდესაც ვერსი 17.000 მან. ჯდებოდა, ბოლშევიკები ამ ერთ ვერსს ვერც მილიონად გაიყვანდნენ.

და ამას მოსკოვის მანეთის ფასი ხომ ერთ კაპიკზე ჩამოჰყავს.

და 103 მილიარდი მანეთი ხომ 103 მილიარდი კაპიკიც არ გამოდგა... ისიც ბოლშევიკურ ხარჯთაღრიცხვით... 1937 წლისათვის!

### თურქეთის ცხოვრება

თურქული პრესა დიდი კმაყოფილებით და სიხარულით მიეგება ბალკანეთის სახელმწიფოების პაქტს, რომელიც ხელმოწერილი იქნა ამ თვის დამდეგს ათინაში. პაქტი შეიცავს შემდეგს მუხლებს: 1) რუმინია, იუგოსლავია, თურქეთი და საბერძნეთი გარანტიას აძლევენ ერთმანეთს, რომ დაიცვან დღევანდელი მათი საზღვრები ბალკანეთში, 2) დასახელებული სახელმწიფოები ვალდებული არიან პასპორტობენ შეთანხმდენ იმ ზომების შესახებ, რომლებიც საჭირო იქნება მათი ინტერესების დასაცავად; ამასთანავე არც ერთი მათგანი არ აწარმოებს რაიმე მოქმედებას იმ ბალკანელ სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც ხელი არ უწერია ამ შეთანხმებაზე, თუ წინასწარ არ შეუთანხმდა დანარჩენებს პაქტის ხელის მომწერო, 3) პაქტი ძალაში შედის დღიდან ხელის მოწერისა; ამ პაქტს შეუძლია მიემხროს ბალკანეთის ყოველი სახელმწიფო.

— გაზეთი «ახმაში» ამბობს, რომ ამ პაქტის საშუალებით შესაძლებელია მომავალში ერთად თავის დაცვა საერთო მტრისაგან. ამიტომ გაზეთი ითვალისწინებს პაქტის ხელის მომწერ სახელმწიფოების საომარ შესაძლებლობებს. ბალკანეთი და ანატოლია, რომელთა ტერიტორიები ერთმანეთზე არიან გადაბმულნი, წარმოადგენენ მთავარ გზას ხმელთა შუა ზღვიდან შავ ზღვაში და ამ ადგილებზე გადის საპაერო გზა აზიისკენ, რასაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიურად ერთმანეთს შეავსებენ: თურქეთს აქვს ქვანახშირი, რუმინიას ნავთი, ხოლო იუგოსლავიას რკინის მადნეულობა—და ეს სამი ელემენტი უმთავრესია დღევანდელ ომში. ხორბალი საბერძნეთს აკლდება, ხოლო თურქეთს, რუმინიას და იუგოსლავიას მოჰყავს მეტი, ვიდრე თვითონ სჭირდებათ. რაც შეეხება ინდუსტრიას, ყველა ოთხივე სახელმწიფო ანვითარებს საკუთარ მრეწველობას, რომ საკუთარ საშუალებით დაიკმაყოფილონ





თავის მოთხოვნებიანი. გზებიცაა ამ სახელმწიფოებს შორის, რომ საჭიროა დროს ერთმანეთს მივშველონ. მათი მცხოვრებთა საერთო რიცხვი 55 მილიონამდეა, რაც აღემატება თითოეულ დიდი სახელმწიფოს რიცხვს (გარდა რუსეთისა და გერმანიისა). მათ შეუძლიათ გამოიყვანონ ბრძოლის ველზე ხუთ მილიონ ნახევარი მეომარი. მათ განკარგულებაში იქნება 25 ათასი მსუბუქი ტყვიისფრქვევლი, 10.000 მძიმე, ოთხი ათას ნახევარი სავიწო ზარბაზანი, ექვსასი მძიმე არტილერია, 1500 ავიონი და 150 ტანკი. ეს მეტია ვიდრე რომელიმე დიდი სახელმწიფოს შეიარაღება, გარდა საფრანგეთისა და საბჭოეთის.

— ამას წინადასაფრანგეთის დეპუტატთა პალატაში საფრანგეთ-თურქეთის მეგობრების ჯგუფი დაარსდა. ამის გამო გაზეთი «მილიეთი» სწერს: საფრანგეთი, რომელიც დიდი ომიდან ყველაზე უფრო გამარჯვებული გამოვიდა, ხელმძღვანელობს სახელმწიფებს, რომელთაც სახავო ხელშეკრულობით მოიგეს. არსებული მდგომარეობის დაცვა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ძარღვია. თურქეთს განსაკუთრებული ადგილი აქვს ამ შემთხვევაში, რომელიც არ წააგავს არც ერთი სხვა სახელმწიფოსას: თურქეთი არაა პირდაპირ დაინტერესებული სახავო პირობის გადასინჯვაში, რადგან არ იქნება გადასინჯული ჩვენი საკუთარი საზღვრები. მაგრამ რადგან ჩვენ პაციფისტები ვართ, ამიტომ არ ვემხრობით სახავო ხელშეკრულობის რევიზიას, რომელსაც ომი მოყვება. აქედან ცხადია, რომ ჩვენი და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ერთმანეთს ეთანხმება. ამ საქმეს ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ დღეს საბჭოები და საფრანგეთი უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. წინადასაფრანგეთი იძულებული ხდება რუსეთის მეგობრობისთვის შეეწიროს თურქეთის მეგობრობა, ახლა ამის საჭიროება აღარაა...

— სტამბოლში არსებობს ლიციე (გიმნაზია), სადაც სწავლება ფრანგულ ენაზეა. მოკლე ხანში მთავრობა გახსნის ამგვარსავე ლიციის გერმანულ ენით, ხოლო სამი წლის შემდეგ მესამეს, სადაც სწავლება ინგლისურად იქნება.

— თურქეთის მთავრობამ საფრანგეთიდან მიიწვია სპეციალისტი, რომელმაც დაწვრილებით უნდა შეისწავლოს სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა და ამის შესახებ მოხსენება წარუდგინოს მთავრობას.

— ამას წინადასაფრანგეთის «ტაიმსში» კორესპონდენცია იყრ დაბეჭდილი ბაღდადში: ირაკის დამოუკიდებლობას ჩრდილოეთის მხრით მუდამ ემუქრება თურქული და სპარსული ნაციონალიზმი და თუ ინგლისის თავდაცვის ხელშეკრულობის წინადადებას მისცემდა ირაკს, უკანასკნელი ამას სიამოვნებით მიიღებდა. ამის შესახებ გაზეთი «გაკიეთი» სწერს: «რადაც საფრანგეთს დაპირაჟი აქ მხოლოდ საბაბია იმისათვის, რომ ირაკი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მუდამ ინგლისის ოკუპაციის ქვეშ იყოს. ნამდვილად თურქეთსაც და სპარსეთსაც ირაკის მიმართ მხოლოდ მეგობრული განწყობილება

აქვთ. ქვემარტივი საშიშროება ირაკს მოეღოს მაშინ, თუ იქ დამკვიდრდება ინგლისის ჯარი, და არა მეზობლების სრულიად კანონიერი ნაციონალიზმისაგან».

ს პ ა რ ს ე თ ი

თურქეთის ყოფილმა ატაშემ თეირანში, ნეხეტბეიმ ამას წინადასაფრანგეთის მოხსენება გააკეთა სპარსეთის მდგომარეობის შესახებ. მოგვყავს ამ მოხსენებიდან ზოგიერთი ცნობა:

ირანის მკვიდრთა რაოდენობა სისწორით გამოთვლილი არაა, რადგან ხალხის წესიერი აღწერა იქ არ არსებობს. უნდა ვიანგარიშოთ დაახლოებით 10-12 მილიონი. სპარსეთის მშვიდობიან ცხოვრებას ბოლო დროს უეჭველი წარმატება ეტყობა. მთავრობამ დაიმორჩილა ის თემებიც კი, რომლებიც მუდამ არეულობას ახლენ. ამ თემების მეთაურებმა აღთქმა დაუდვეს მთავრობას და ეს აქამდის არ დაურღვევიათ. ორი წელიწადია სავალდებულო სამხედრო სამსახურია დაწესებული. ამის წინამდებე განლაშქრა ახონტის სექტა და მას იარაღით შეებრძოლა მთავრობა, რომელმაც ყველა მოწინააღმდეგე დაიმორჩილა, მაგრამ დროებით ზოგი რამ მაინც დაუთმო. თურქეთის მიმართ მეტად მეგობრული განწყობილება ყველგან. უკანასკნელად თურქეთის საგარეო მინისტრი რუსეთში იყო. შაჰ ფელიციმ უთხრა თურქეთ-სპარსეთის საზღვრების თაობაზე: ერთი ნაუკერი მიწა აქვთ ყოფილა თუ იქეთ—ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენთვის უფრო ძვირფასია თურქეთის მეგობრობა. თურქეთის რევოლუციას სპარსელები დიდს ყურადღებას აქცევენ. ბევრი დაწესებულება თურქეთის რესპუბლიკისა გადაიტანეს და შეუფუეს ადგილობრივ პირობებს. ხალხი მთავრობას ემორჩილება, ერთს სპარსელს ვერ ნახავთ, რომ წინამდებეობა გაუწიოს უბრალო პოლიციელის განკარგულებას. ქურობობს თითქმის არა აქვს ადგილი. თეირანში ვერ შეხვდებით თითქმის მცველებს და პოლიციელებს. ბევრს სახლში კარები მთელი ღამე ღიაა. პოლიციელების და ყანდარმების საქმეა ყაჩაღებთან ბრძოლა. სასამართლოშიც ბოლო წლებში საყურადღებო ცვლილებები მოხდა. სწავლა-განათლებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ყოველ წელიწადს ასზე მეტი სტუდენტი იგზავნება ევროპაში. უნივერსიტეტი, განსაკუთრებით სამართლის და საქმიო ფაკულტეტები კარგად მოაწყვეს. სპარსეთში უცხოელთა მრავალი სკოლა არსებობს. მთავრობამ აუკრძალა სპარსელ ბავშებს ამ სკოლაში შესვლა, თუ პირველდაწყებითი სპარსული სკოლა არა აქვთ დამთავრებული.

სპარსეთს საგარეო ვაჭრობა უმთავრესად რუსეთთან აქვს (70 პროც.), რომელიც ყოველ დღეს ხმარობს, რათა იბატონოს სპარსეთის ბაზარზე. ძალიან გაჭირვებულია სოფლის მკვიდრთა ცხოვრება. სოფელში ყველასი და ყველაფრის ბატონ-პატრონი არიან «აღები», მემამულენი, რომლებიც თესლს ურიგებენ გლეხებს და მერე მოსავლის მეტი წილი მიიქვთ თავისთვის.





### ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო ს ა მ მ ე მ ბ ი

ბერიაშ საქ. კომ. პარტიის ყრბლობაზე ამ წლის ათ იანვარს თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, განაცხადა: «ამიერ-კავკასიის ს.ს.რ. ერთა კულტურის, ნაციონალურის ფორმით და სოციალისტურის შინაარსით, განვითარების ინტერესი აუცილებლად მოითხოვს, რომ ყოველი ზომით გავამჯობროთ ამ ქრების კავშირი რუსულ პროლეტარულ კულტურასთან. ამ მიზნით საქირთა გავაძლიეროთ შესწავლა ჩვენი მუშათა და გლეხთა ახალგაზდობის მიერ რუსული ენისა, როგორც უაღრეს რევოლუციონურ მიღწევების ენის პოლიტიკის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და ლიტერატურის დარგში. ამ ქამად რუსული ენის შესწავლის საქმე ჩვენს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არაა სასურველად დაყენებული. საქირთა არაა აქ დასახელება ამის დასამტკიცებელ ფაქტებისა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულებმაც და ასპირანტებმაც კი სუსტად იციან რუსული ენა, რაც რასაკვირველია ცუდად მოქმედობს მათ მუშაობაზე. საქ. კომ. პარტიის ც. კ-მა სერიოზული ყურადღება მიაქცია ამას და ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე მიიღო დადგენილება რუსული ენის სწავლების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში და რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების გამოსაცემათ. ცხადია, ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები შეეცდებიან წინააღმდეგობა გაუწიონ ც. კ-ის ამ ფრიად მნიშვნელოვან დადგენილებების განხორციელებას. ჩვენმა მტრებმა უკვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ც. კ ის გადაწყვეტილება მოასწავებს სკოლების რუსიფიკაციის პოლიტიკას და სხ. ასეთს ხმებს და ნაციონალისტურ ელემენტების განხრახვებს ჩვენ გადაჭრით შევებრძოლებით. დაუნდობლად უნდა გამოვამქვადვინოთ, რომ ეს ვაქტატონები, რომლებიც ვითომც ქართულ კულტურას იცავენ, ნამდვილად გამწარებულ ბრძოლას ეწევიან ფორმით ეროვნულის და შინაარსით სოციალისტური კულტურის წინააღმდეგ, მუშათა ინტერნაციონალური აღზრდის და ს. ს. რ. კავშირის ქრების კულტურულ-პოლიტიკურ ერთობის წინააღმდეგ. საქართველოს ბოლშევიკები, რომელთა ისტორიაში ბევრი სასახელო საქმეა ჩაწერილი ბრძოლისა ნაციონალ-შოვინიზმის და «უკოლინიზმის» წინააღმდეგ, ახლაც მაღლა აღმართავენ ლენინის და სტალინის დროშას, დროშას ნამდვილ ინტერნაციონალიზმისა და შეებრძოლებიან ნაციონალიზმის ყოველ მოვლენას.»

— ტფილისში «პასპორტიზაციის» მიხედვით მცხოვრებთა «გაწმენდა» სრული სისასტიკით განხორციელდა. მრავალი ხალხი გააძევეს ქალიქიდან, მათში ქართველობა შეადგენს დიდს უმრავლესობას (90 პროც.). გადასახლეს ადამიანები, რომლებიც ათეულ წლობით ცხოვრობდნ ტფილისში, იქვე არიან დაბადებულნი. ბევრს არცაქვს სოფელი, არასოდეს უცხოვრია იქ. ამ გადასახლებულთა ბედი გადაწყვიტეს კომუნისტმა სომხებმა, რომლებიც

საპასპორტო პუნქტებში შეადგენენ 80 პროცენტს.

— საქართველოდან დაბრუნებული უცხოელები და კერძოთ მიღებული წერილები კვლავ ადასტურებენ, რომ ამ ქამად იქ დიდი გაჭირვება და შიმშილობაა, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში.

### კ ა ტ ა რ ა ტ მ ე ნ ი შ ვ ნ ა

შემსხვევით ჩაგვივარდა ხელში ეგრე წოდებულ «ტორგსინის» კატალოგი. ამ «ტორგსინის» პარიზის ბანკი და მისი განყოფილებანი უცხოეთში დებულ ბენ უცხო ვალუტას საბჭოთა კავშირში გადასაგზავნად. ხოლო იქ მიმდებს აძლევენ ამის მიხედვით «ტორგსინის» განყოფილებებში საქონელს.

როგორც კატალოგში დაბეჭდილ სიიდან ხანს, სულ შევიდასამდე ასეთი განყოფილება ყოფილა მთელ კავშირში. თითქულის ქალაქს, თუ დაბას, სადაც განყოფილება არსებობს, გვერდზე უწერია, თუ ეს ადგილი რომელ «რესპუბლიკასა» თუ «ავტონომიაში» არის: შოგხვდებთ ბელორუსია, ყახახსტანი, ყორგიზტანი, სომხეთის, აჭერბეიჯანის «რესპუბლიკა» და სხ.

საქართველოს ოცამდე ქალაქშიც არსებობენ განყოფილებანი. მაგრამ საყურადღებოა, რომ არც ერთს ქართულ ქალაქს არ უწერია გვერდზე საქართველო თუ საქართველოს «რესპუბლიკა», არამედ ამიერ კავკასია (ზაკავკ.).

უბრალო ფაქტია, მაგრამ დამახასიათებელი. როგორც ძველი რუსეთის ისე დღევანდელის პრაქტიკაში საქართველო არ არსებობს.

### ს ა მ მ ი მ ა რ ი

ქართველ მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ბ. გიორგი გვახავამ, გაუგზავნა მის უდიდებულესობას ბელგიის დედოფალს შემდეგი დეპეშა:

«ქართველ მწერალთა საზოგადოება უცხადებს თქვენს უდიდებულესობას ერთსულოვან და ღრმა მწუხარებას, გამოწვეულს მაში ტრადიკულ დაღუპვით დიდი მეფისა, რომელიც იყო გმირი დამცველი პატარა ერების უფლებისა და თავისუფლების.»

საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი გვახავა.

### შ ა რ ი ლ ი კ ა ლ ა შ ც ი ი ს მ ი მ ა რ ი

ბატონო ტედაქტორე!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ ორგანოში მოათავსოთ ეს ჩემი წერილი:

ვარშავაში 1931 წლის დამლევის ერთ თვალსაჩინო პოლონურ ორგანიზაციის გამგეობამ შეიმუშავა მემორიალი ქართულ საკითხის შესახებ მარშალ პილსუდსკის და მთავრობის წევრთა გადასაცემათ მემორიალი იყო მიმართული ჩვენი ქართველი მთავრობის წინააღმდეგ.



მესმოდა, რომ ზოგიერთი პიროვნება სხვებთან ერთად მეც მასახლებდნენ, როგორც «ინიციატორს და ინფორმატორს» ამ შემთხვევაში. ამ მიზეზით მოქმედების ყურადღებას არ ვაქცევდი, ვინაიდან შემორჩენილი მონაარს არ ვიყავი გაცნობილი. მხოლოდ გასულ თვეში საშვალეობა მომეცა ის შემორჩენილი წამეკითხა. მისი მონაარსის გაცნობის შემდეგ, ჩემთვის სავალდებულოდ მიმაჩნია, ამ წერილით აღვნიშნო, რომ მე იმ შემორჩენილის მონაარსს არ ვიჩიარებ და რომ მის შედგენაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. ამის დასამტკიცებლად იძულებული ვარ გამოვქვეყნო ჩემი წერილი მიმართული ამ შემორჩენილის მთავარ ინიციატორისადმი. მან მე მომმართა თხოვნით გადამეგზავნა მისთვის ასლი ჩემი პროტესტისა, რომლითაც მე მივმართე განსვენებულ დოქტორს ბნ შალვა ამირეჯიბის პოლონეთიდან გადასახლების გამო. აი ეს წერილი:

21 ოქტ. 1931 წ. გროდნო.

დიდათ პატივცემულ ბნ. №, როგორც პირველ ჩემ წერილში უკვე მოგწერეთ, ჩვენმა პარტიამ (ნაც-ოემოკრატიულმა) დაადგინა და დადვა ხელშეკრულება, რათა შეაჩეროს ყოველივე გამოსვლა მიმართული ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, როგორც საფრანგეთში აგრეთვე სხვა ქვეყნებში, სანამ არ მოაწესრიგებენ მთავრობასთან ყოველსავე პარტიულ უთანხმოებებს. დღეს მივიღე წერილი ცენტრალურ კომიტეტიდან, რომლითაც მაცნობებენ, რომ იქმნა ხელმოწერილი «პაქტი ერთსულოვანი მუშაობისა».

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პატივცემულ მამრო, დამეთანხმებით, რომ ესლა მიუღებელია ჩვენ ქართველებისთვის რაიმე მონაწილეობის მიღება ჩვენ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლაში. მით უფრო მიუღებელია ჩვენი კრიტიკა და წინააღმდეგ გამოსვლა მიმართული პოლონეთის პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ... განსვენებულ დოქტორს სახელს ჩვენ ქართველებიც ისე ვცემთ პატივს, როგორც თქვენ პოლონელები, ამიტომ შეუძლებლათ მიმაჩნია ჩემი მისდამი მიმართულ წერილის გამოქვეყნება.

მალე ვიქნები ვარშავაში და მაშინ ყველასფერს გაგითვისებ.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი სალაპი ბნ №... და გააცნოთ მას ამ წერილის მონაარსი.

გულითადი სალაპით გრ. ალშიბაია.

(ასლი ამ წერილისა მაქვს შენახული)

ამ წერილის შემდეგ ვიყავი ვარშავაში. გავიგე, რომ შემორჩენილი უკვე შედგენილი არის. ეს ფაქტი მაშინვე ვაცნობე მთავრობას (ევგენი გეგუქორს და კოწია გვარჯალაძეს წერილით) და ვსთხოვე დაუყოვნებლივ გამოგზავნათ ვარშავაში ბ-ნი ევგენი გეგუქორი, რომ მასთან ერთად მიგველო საჭირო ზომები. შემორჩენილის გადაცემის შესაჩერებლად. ბნ ევგენი გეგუქორის ჩამოსვლაში მივიღე საჭირო ზომები, რომ შემორჩენილის გადაცემა მარშალისათვის შემეჩერებინა. ასეთი იყო ჩემი მოქმედება და განწყობილება ამ შემორჩენილის საკითხში, რომლის აღნიშვნა საჭიროდ მიმაჩნია.

დადგება დრო. როცა დაიწერება ისტორია ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებისა და საქმიანობისა. არა მსურს, რომ ვისმე ეჭვიც კი დაებადოს, რომ «1931 წელს ვარშავაში დაწერილ მემორიალში» მე მონაწილეობას ვღებულობდი.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი პატივისცემა გრ. ალშიბაია.

26 ნოემ. 1931 წ. გროდნო.

IBERICA

რომის ჟურნალ «Orientalia» ში დაბეჭდილია წერილი პონტიფიკალ ბიბლიურ ინსტიტუტის პროფესორის მამა ეან სიმონის წერილი, რომელშიაც ჩამოთვლილია ადგილები, სადაც მოიპოვება ქართული ხელნაწერები. ეს ადგილებია: 1) ამერიკაში—ბალტიმორი და უტიკა, 2) არაბეთში—სინას წმ ეკატერინეს მონასტერი, 3) ავსტრიაში—გრატი და ვენა, 4) ბელგიაში—ბრიუსელი, 5) ბულგარეთში—სოფია, 6) გერმანიაში—ბერლინი, გეტინგენი, ლაიპციგი, 7) დანიაში—კოპენჰაგენი, 8) იტალიაში—პავია, რომი, ტოლე დელ გრუკო, ვენეცია, 9) რუმინეთში—ბუქარესტი, 10) საბერძნეთში—ათონის მონასტერი, 11) საფრანგეთში—პარიზი, 12) პოლონეთში—კრაკოვი, 13) პალესტინაში—იერუსალემი, 14) თურქეთში—სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .

ამ ღია წერილით მინდა ვამცნო ბ. ბ. ხელისმომწერთ, რომელნიც არ იხდიან მათ მიერ შეძენილი «ვეფხისტყაოსანის»-ს (რუსულად), დღემდის მათივე თანხმობით დაპირებულს თვითურთ გადასახადებს. ვსთხოვ ყველას, ვისაც ენება ეს წერილი, კეთილი ინებონ და გამოგზავნონ თვითური გადასახადი, ზემოთ აღნიშნულ წიგნისა. სრულიად დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი არის უბრალო დაუდევრობის მიზეზი და იმედი მაქვს ამიერიდან აღარ დამჭირდება ასეთი განცხადების გაკეთება პრესის საშვალეობით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თუ ამ ჩემს წერილს ისეთივე ბედი ეწვია, როგორიც ფოსტით გადაგზავნილ წერილებს, მაშინ იძულებული ვიქნები პრესის საშვალეობით გამოვქვეყნო მათი სახელი და გვარი, და წიგნის უკან დაბრუნება ვსთხოვ.

აქვე მინდა ვისარგებლო ამ მომენტით და გამოვაცხადო, რომ თითქმის სამი წელიწადი სრულდება, რომ ზოგიერთებს არ გადაუხდიათ მათ-მიერ შეძენილი თუ გაყიდული «დედა-ენის» საფასური, რაც იმავე დაუდევრობას უნდა მიეწეროს, ამისათვის ვსთხოვ მათაც, ამის ლიკვიდაციას.

ჩემი მისამართი:

M<sup>r</sup> D. Kéladze, 23, rue Lavoisier. Cachan (S.)

პატივისცემით დ. სელაძე.